

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თათია თოდაძე

ეროვნული პროექტის დინამიკა 2003 - 2012 წლების საქართველოში
და მისი გავლენა სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარებაზე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები

ნაშრომი შესრულებულია ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: დავით მაცაბერიძე, პოლიტიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

თბილისი, 2017

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის თემას წარმოადგენს *ეროვნული პროექტის დინამიკა 2003 - 2012 წლების საქართველოში და მისი გავლენა სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარებაზე*, შესაბამისად, ნაშრომი ეხება ერის მშენებლობის პროცესს 2003 - 2012 წლებში, რომელიც ხორციელდებოდა ეროვნული პროექტის საშუალებით და რომელიც დაფუძნებული იყო სამოქალაქო ნაციონალიზმის პრინციპებზე.

საკაშვილის ეროვნული პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ეროვნული ინტეგრაციის მიღწევა, რომლის განხორციელების მიზნითაც შემუშავდა კონკრეტული პოლიტიკა. ჩვენს ნაშრომში გამოვყოფთ ეროვნული ინტეგრაციის პოლიტიკის შემდეგ ინსტრუმენტებს: ახალი სამოქალაქო ნაციონალური იდენტობის ფორმირება, სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, განათლების სისტემა და შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია.

ნაშრომის მიზანია იმის დადგენა თუ რა დინამიკით, რა წარმატებით განვითარდა სააკაშვილის ეროვნული პროექტი და რა გავლენა იქონია ამ უკანასკნელმა სამოქალაქო ნაციონალიზმის განმტკიცებასა და განვითარებაზე.

კვლევის ჰიპოთეზების თანახმად, სააკაშვილის ეროვნული პროექტის პირველ ეტაპზე ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხარისხი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, ეროვნული პროექტის მეორე ეტაპი კი უფრო მეტად წარმატებული აღმოჩნდა; რაც შეეხება სამოქალაქო ნაციონალიზმს, სამოქალაქო ნაციონალიზმის განმტკიცებისა და განვითარების პროცესს ხელი შეუწყო პოლიტიკამ, რომელიც მიმართული იყო ახალი სამოქალაქო ეროვნული იდენტობის ფორმირებისა და საერთო ენაზე დაფუძნებული მოქალაქეთა ერთობის შექმნისკენ, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი გავლენა იქონია შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის მიღებამ.

სამაგისტრო ნაშრომი ეყრდნობა მეორად მონაცემთა ანალიზის მეთოდს, რომლის ფარგლებშიც გამოყენებული წიგნები, სტატიები, ოფიციალური დოკუმენტები,

სახელმწიფო ანგარიშები, საჯარო გამოსვლები თუ კვლევები, გაანალიზებული იქნება კონტენტ ანალიზის ფარგლებში.

სამაგისტრო ნაშრომში წამოჭრილი საკითხებისა და ჰიპოთეზის ასახსნელად ვიყენებთ ინსტრუმენტალიზმის თეორიას, ამასთანავე პოლიტიკური ელიტების რიტორიკის ამხსნელ ანალიტიკურ ჩარჩოდ ვიყენებთ მეთიუ რევენერისა და პაოლა ფრანკლინ ლითლის მიერ შემოთავაზებულ ნაციონალური რიტორიკის ტრიადულ სტრუქტურას.

Abstract

Todadze T.

The paper is about *The Dynamic of National Project of 2003 - 2012 Georgia and its Influence on the Development of Civic Nationalism*. The paper concerns to the nation building process in 2003 - 2012 Georgia, which was realized by the national project depended on principles of civic nationalism.

One of the main objectives of Saakashvili's national project was to achieve national integration, for which specific policies were developed. In our paper, we identify the following instruments of national integration policy: the formation of new civic national identity, the popularization of the state language, education system and National Concept of Tolerance and Civic Integration.

The purpose of this paper is to find out the dynamics, the success of Saakashvili's national project and to find out the influence of this national project on the development of civic nationalism.

According to the research hypothesis, the first phase of Saakashvili's national project, there were not any important success in the process of integration of ethnic minorities; the second phase was more successful. As of civic nationalism, the politics of national project, which was focused on the formation of new civic national identity and establishment of the society based on common language, had a huge influence on the development of civic nationalism, also a very important step was the National Concept of Tolerance and Civic Integration.

The master thesis is based on secondary data analysis, in which we have used different books, articles and researches, official documents, state reports and public speeches. To analyze these data, we have used content analysis.

We have used Instrumentalism to explain presented issues and hypothesis, also we use the triadic structure of national rhetoric by Paula Franklyn Lytle and Mathew Levinger to explain the rhetoric of political elites.

სარჩევი

ანოტაცია	2
ABSTRACT	4
შესავალი	7
1. თეორიული ჩარჩო	11
2. ლიტერატურის მიმოხილვა	16
3. ერის მშენებლობის პროცესი 2003 – 2012 წლების საქართველოში	27
3.1 ეროვნულ ინტეგრაციასთან დაკავშირებული ერის მშენებლობის პროცესი	28
4. მიხეილ სააკაშვილის ეროვნული პროექტი, I ეტაპი - 2004 - 2008 წლები	30
4.1 სამოქალაქო ეროვნული იდენტობის ფორმირება	30
4.2 სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია	35
4.3 განათლების სისტემის რეფორმა	38
5. მიხეილ სააკაშვილის ეროვნული პროექტი, II ეტაპი-2009 - 2012 წლები	42
5.1 განათლება და სახელმწიფო ენა	42
5.2 პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა	46
5.3 კანონის უზენაესობა	47
5.4 მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	48
5.5 სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია	50
5.6 კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება	51
6. დასკვნა	56

გამოყენებული ლიტერატურა	59
დანართი 1	69
დანართი 2	70
დანართი 3	72

შესავალი

საქართველო პოსტ-საბჭოთა ქვეყნების იმ რიგს მიეკუთვნება, რომელთაც მემკვიდრეობად არასრული, ჩამოყალიბებული იდენტობები მიიღეს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოსთვის მთავარი გამოწვევა გახდა სამოქალაქო ნაციისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა. მაგრამ საბჭოთა კავშირმა იმდენად მძიმე გავლენა იქონია ქვეყანაზე, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დემოკრატიული ცვლილებები ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა. შედეგად ვარდების რევოლუციით მოსულ ხელისუფლებას ქვეყანაში ძალიან მძიმე სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა დახვდა. მოსახლეობის ნახევარზე მეტი იმყოფებოდა სიღარიბის ზღვარს მიღმა, კორუფციას მოცული ჰქონდა მთელი ქვეყანა, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და აჭარა სახელმწიფოს გავლენის სფეროებს მიღმა იყო, ჯავახეთი უფრო მეტად ინტეგრირებული იყო სომხეთთან ვიდრე საქართველოსთან, ინტეგრაციის კუთხით ასევე მძიმე მდგომარეობა იყო ქვემო ქართლშიც. შეიძლება ითქვას, რომ საქართველო წარმოადგენდა არშემდგარ სახელმწიფოს*. ყოველივე ამის გათვალისწინებით ახალი მთავრობის მთავარი ამოცანა სამოქალაქო ნაციონალიზმზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობა გახდა.

ეროვნული პროექტი შეიძლება ვუწოდოთ იმ პოლიტიკას, რაც სააკაშვილის მთავრობამ შეიმუშავა ახალი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში და მოიცავდა ქვეყნის ინსტიტუციურ გაძლიერებასა და კორუფციის აღმოფხვრას, ქვეყნის გაერთიანებას, ეკონომიკურ განვითარებას, ეროვნულ ინტეგრაციას, დემოკრატიისა და სამოქალაქო ნაციონალიზმის ღირებულებების განვითარებასა და განმტკიცებას.

საკაშვილის მთავრობის ეროვნული პროექტი გულისხმობდა სამოქალაქო ნაციონალიზმის პრინციპებზე დაფუძნებულ ერის მშენებლობას, რომელიც მიმართულია ისეთი სახელმწიფოს შექმნისკენ სადაც უმთავრესი ღირებულებებია დემოკრატია, თავისუფლება,

* "არშემდგარი სახელმწიფოები ისეთი ქვეყნებია, სადაც კონფლიქტის, არაეფექტური მართვისა, ან სახელმწიფოს დაცემის (კოლაფსის) გამო, ცენტრალური მთავრობა საკუთარი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე ვერც ეფექტურ კონტროლს ახორციელებს და ვერც სასიცოცხლოდ აუცილებელი ფუნქციების შესრულებას ახერხებს" - სამოქალაქო ენციკლოპედიური ლექსიკონი

თანასწორობა, შემწყნარებლობა; სადაც მოქალაქეები ერთმანეთთან დაკავშირებულნი იქნებიან ისეთი საერთო იდენტობით, რომლის ფარგლებშიც ერის წევრად ჩაითვლება ყველა, ვინც იზიარებს საერთო ღირებულებებს, ქვეყნის ინტერესებსა და მიზნებს, მიუხედავად მათი ეთნიკური თუ რელიგიური მიკუთვნებულობისა.

საკავშირის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო ეროვნული ინტეგრაცია, ამ პროცესში კი ნაციის კონსოლიდაციის მთავარი საშუალება გახდა სამოქალაქო ნაციონალიზმი. კვლევის ფარგლებში, გამოვყოფთ ეროვნული პროექტის შემდეგ ინსტრუმენტებს: ახალი სამოქალაქო ეროვნული იდენტობის ფორმირება, სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, განათლების რეფორმა და შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციის შემუშავება და სამოქმედო გეგმის განხორციელება. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ძალიან დიდი ძალისხმევისა, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესი 2003 - 2012 წლების პერიოდში ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

ჩემი კვლევის სფეროს სწორედ 2003 - 2012 წლების საქმოქალაქო ნაციონალიზმი წარმოადგენს. მოცემულ ნაშრომში ყურადღებას ვამახვილებ 2003 - 2012 წლების ეროვნულ პროექტზე, რომლის განხორციელებაც მიზნად დაისახა ვარდების რევოლუციის შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ და რომელიც დაეყრდნო სამოქალაქო ნაციონალიზმის ღირებულებებს, შესაბამისად, წარმოადგენდა სამოქალაქო ნაციონალიზმის განმტკიცების ერთ-ერთ საშუალებას.

ვეცდებით ინსტრუმენტალიზმის თეორიულ ჩარჩოსა და სხვადასხვა ანალიტიკურ ლიტერატურაზე დაყრდნობით წარმოვადგინოთ შეძლებისდაგვარად სრული სურათი ეროვნული ინტეგრაციის გზაზე გადაგმული ნაბიჯების და მოვახდინოთ მათი შედეგების ანალიზი.

ნაშრომის საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა, დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადები

კვლევის მიზანია იმის დადგენა თუ რა დინამიკით, როგორი წარმატებით განვითარდა სააკაშვილის მთავრობის ეროვნული პროექტი და რა გავლენა იქონია სამოქალაქო ნაციონალიზმის განმტკიცებაზე 2003 – 2012 წლებში, შესაბამისად, მოცემული ნაშრომის საკვლევი კითხვებია:

1) როგორია სააკაშვილის ეროვნული პროექტის დინამიკა 2003 - 2012 წლებში და 2) რა ფაქტორებმა განაპირობა სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარება-განმტკიცება?

საკვლევი კითხვის საფუძველზე კვლევის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი ჰიპოთეზები:

1) ეროვნული პროექტის განვითარების პროცესში (დინამიკაში), გატარებული პოლიტიკის საფუძველზე გამოიკვეთა ორი ეტაპი, 2004 - 2008 წლების პერიოდში ეროვნული ინტეგრაციის პროცესი მნიშვნელოვანი მიღწევებით არ ხასიათდება, 2009 - 2012 წლები უფრო მეტად ხასიათდება ეროვნული პროექტის წარმატებით.

2) სამოქალაქო ნაციონალიზმის განმტკიცება და განვითარება გამოიწვია პოლიტიკამ, რომელიც მიმართული იყო ახალი სამოქალაქო ეროვნული იდენტობის ფორმირებისა და საერთო ენაზე დაფუძნებული მოქალაქეთა ერთობის შექმნისკენ.

ნაშრომში დამოუკიდებელ ცვლადს წარმოადგენს ეროვნული პროექტი, ხოლო დამოკიდებული ცვლადია სამოქალაქო ნაციონალიზმი.

კვლევის მეთოდოლოგია

მეთოდს, რომელსაც მოცემული კვლევის ფარგლებში გამოვიყენებთ, არის მეორად მონაცემთა ანალიზი, რომელიც გულისხმობს იმ მასალის გამოყენებას, რომლებიც უკვე დამუშავებული და შეგროვებულია სხვა მკვლევარების მიერ. მეორადი მონაცემები გვადლევს საშუალებას შევისწავლოთ კონკრეტული საკითხი ღრმად და გვეჩვენებს სხვადასხვა მასალებზე ფართო წვდომა, რაც გვადლევს საშუალებას ავღწეროთ და ავხსნათ ცვლილებები. მეორად მასალებში იგულისხმება ოფიციალური, იურიდიული დოკუმენტები, სახელმწიფო ანგარიშები, კვლევები, საჯარო გამოსვლები, სტატიები, წიგნები და სხვა (ნაჩმასი, ფრანკფორტ-ნაჩმასი, 2009. 428-430). ჩვენს ნაშრომში ვიყენებთ წიგნებს, რომლებიც გვადლევს თეორიულ საფუძველს, რათა ავხსნათ მიხეილ სააკაშვილის ეროვნული პროექტის დინამიკა და მიმდინარეობის პროცესი. ვიყენებთ სტატიებს სამეცნიერო ჟურნალებიდან, რომლებიც გვადლევს 2003 - 2012 წლებში ეროვნულ პროექტთან დაკავშირებული მიმდინარე პროცესების ანალიზის საშუალებას და ასევე ვიყენებთ საჯარო გამოსვლებსა და სახელმწიფოს ოფიციალურ ანგარიშებსა და კვლევებს, რათა შევძლოთ გატარებული პოლიტიკის შედეგების ანალიზი.

გამოყენებული მასალების გაანალიზებისთვის ვიყენებთ კონტენტ-ანალიზს, რომელიც გვადლევს საშუალებას გამოყენებული ლიტერატურის საფუძველზე მოვახდინოთ კონკრეტული დასკვნების გამოტანა (ნაჩმასი, ფრანკფორტ-ნაჩმასი, 2009. 456).

1. თეორიული ჩარჩო

თეორიულ ჩარჩოდ ვიყენებთ თეორიულ მიმდინარეობა - ინსტრუმენტალიზმს, რომლის მიხედვითაც ერი არის სოციალური კონსტრუქცია, რომელიც ყალიბდება ისტორიისა და სოციალური მექანიზმების საფუძველზე, რომლებიც ექვემდებარება სხვადასხვა ცვლილებებსა და ინტერპრეტაციებს. ინსტრუმენტალიზმის მიხედვით, ეთნიკური და ნაციონალური იდენტობა შესაძლოა ხელახლა განისაზღვროს გარემო ფაქტორების ცვლილების ან ელიტების მანიპულირების პასუხად. აქ გადამწყვეტი როლი ენიჭებათ პოლიტიკურ ელიტებს, რომლებიც ირჩევენ ჯგუფის კულტურის ცალკეულ ასპექტებს და ანიჭებენ მათ ახალ აზრს. იმისათვის რომ მოხდეს ტრანსფორმაცია აუცილებელია კულტურული ბაზისის არსებობა, რის საფუძველზეც ხდება ჯგუფის გამორჩეულობის ხაზგასმა, სოლიდარობის განმტკიცება და მათი ერთიან პოლიტიკურ სისტემად ქცევა (დავითაშვილი, 2003. 110-112).

ინსტრუმენტალიზმის მიხედვით ეთნიკურობა გამოიყენება პოლიტიკური ელიტების მიერ კონკრეტული მიზნების მისაღწევად და იდენტობას მნიშვნელობა ენიჭება იმის მიხედვით თუ რისი მიღწევა სურთ ელიტებს. სწორედ ელიტებზეა დამოკიდებული ერის მშენებლობის პროცესი და ის თუ როგორ გამოიყენებენ იდენტობის მარკერებს ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბება-გავრცელების პროცესში (Barrington, 2006. 14).

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული თეორია ნამდვილად ხსნის 2003-2012 წლების ეროვნული პროექტის განვითარებას, დინამიკასა და მის გავლენას სამოქალაქო ნაციონალიზმის განმტკიცებაზე, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ახალი სამოქალაქო ეროვნული იდენტობის ფორმირება, რომლის მიზანიც საზოგადოების გაერთიანება იყო, გამოიკვეთა პოლიტიკის კონკრეტული მიმართულებები, რომლებიც გავლენას ახდენდნენ ეროვნული ინტეგრაციის პროცესზე. ყოველივე ეს კი აბსოლუტურად დამოკიდებული იყო პოლიტიკური ელიტების ქმედებებზე, მიზნებსა და ინტერესებზე.

ელიტების პოლიტიკა საზოგადოებამდე ხშირ შემთხვევაში მიმართვებისა და გამოსვლების საშუალებით მიდის. შესაბამისად, მათი რიტორიკა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საზოგადოებაში განწყობებისა და შეხედულებების ცვლილებებს. აღნიშნული საკითხის ანალიზისთვის, ვიყენებთ მეთიუ რევეინერისა და პაოლა ფრანკლინ ლითლის მიერ შემოთავაზებულ *ნაციონალური რიტორიკის ტრიადულ სტრუქტურას*, მინდა მათ მიერ შემოთავაზებული ტრიადა განვიხილო სააკაშვილის რიტორიკის ამხსნელ ანალიტიკურ ჩარჩოდ.

რევეინერისა და ლითლის მიხედვით, ნაციონალური რიტორიკა სამი ელემენტისგან შედგება; ესენია: დიდებული წარსული, დეგრადირებული აწმყო და უტოპიური მომავალი.

დიდებული წარსული - მითები წარსულიდან ამყარებს ემოციურ მიჯაჭვულობას და სამართლიანს ხდის ნაციონალისტურ მოძრაობებს. ამასთანავე წარსულის მითებსა და სიმბოლოებში ხდება ერის დეფინიციის ასახვა და როცა განისაზღვრება თავდაპირველი ერთობის აუცილებელი მახასიათებლები ნათელი ხდება თუ რა არის აუცილებელი კოლექტიური ბრძოლისთვის. სწორედ ეს თავდაპირველი იდენტობის გააზრება განსაზღვრავს დღევანდელ პოლიტიკურ ქმედებებს.

რიტორიკული სტრატეგიის გადმოსახედიდან, წარსულის მითები, რა თქმა უნდა, დიდ როლს თამაშობს მობილიზაციაში, რადგან ეს მითები განსაზღვრავს იმ კონკრეტული მიღწევებისა თუ ღირსებების ხელახლა "გახსენებას", რომლებიც მოახდენენ თავდაპირველი დიდებულების იმიტაციას და შესაბამისად, წარმოადგენენ მნიშვნელოვან იარაღს. ნაციონალური რიტორიკის ამ ელემენტთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ დიდებული წარსული გულისხმობს იმ თავდაპირველ ნაციას, რომელიც არსებობდა როგორც წმინდა, ერთიანი და ჰარმონიულ საზოგადოებად (Levinger, Lytle. 2001. 179-180). საინტერესოა, რომ ამ კუთხით სააკაშვილის რიტორიკაში მუდმივად ხაზგასმული იყო ის ისტორიული წარსული როცა საქართველოში არსებობდა ერთიანი საზოგადოება, სადაც არ ხდებოდა ხალხის დაყოფა ეთნიკური კუთხით: "დავით აღმაშენებლის მსგავსად დღეს ჩვენ ვეუბნებით ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ოსს, აფხაზს, სომეხს, აზერბაიჯანელს, რუსს,

ებრაელს, ბერძენს, უკრაინელს, ასირიელს - ყველას, ვინც ჩვენს მიწაზე დაიბადა და ცხოვრობს, რომ საქართველო ჩვენი საერთო სახლია, მრავალფეროვნება კი ის უნივერსალური ღირებულება, რომელიც ყველა ჩვენთაგანს საერთო გვაქვს" (diversity.ge).

შემდეგი ელემენტია დეგრადირებული აწმყო - აქ იგულისხმება ის ტრავმული მოვლენები, რომლებიც განსაზღვრავენ ნაციონალური ერთობის ინტეგრაციას. დანაკარგის გაანალიზება, იქნება ეს ენა, ტერიტორია, კულტურული ასპექტები თუ სხვა, არის ძალიან მნიშვნელოვანი ინტეგრაციის პროცესში. ნაციონალური რიტორიკა განსაზღვრავს იმ ზიანს, რომელიც გამოწვეულია გარე აქტორების მიერ და რომელიც იწვევს ქვეყნის შინაგან განადგურებას (Levinger, Lytle. 2001. 181-183.): "ყველა იარლიყი მოგვაკერა ჩვენმა მტერმა და ვერ მოგვაკერა იარლიყი, რომ ჩვენ ვართ შოვინისტები, ნაციონალისტები ან ეთნიკურ დისკრიმინაციის პოლიტიკას ვეწევით და ვერც ვერავინ ვერასდროს ვერ მოგვაკერებს. იმიტომ, რომ ყველაფერი ეს არის აბსოლუტურად უცხო საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისთვის, ჩემთვის პირადად და მთლიანად ჩვენი ერისთვის, ჩვენი მრავალეთნიკური საზოგადოებისთვის" (სააკაშვილი, 2008).

მესამე ელემენტია უტოპიური მომავალი - რაც გულისხმობს, რომ კოლექტიური ქმედებით ნაცია დაძლევს დეგრადირებულ აწმყოს და აღიდგენს თავდაპირველ ჰარმონიულ მდგომარეობას. აქ იგულისხმება ერთიანობა ყველა ასპექტში, იქნება ეს პოლიტიკური თუ სულიერი, ანუ იგულისხმება, რომ აღარ უნდა არსებობდეს დაყოფა ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ფორმით (Levinger, Lytle. 2001. 185). სააკაშვილის რიტორიკაში მუდმივად აღინიშნებოდა ის, რომ ის შექმნიდა ისეთ სახელმწიფოს, სადაც ყველა ისარგებლებდა თანაბარი უფლებებით და ყველას ექნებოდა თანაბარი შესაძლებლობები. "ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით ერთიანობისა და აღმშენებლობის ეპოქაში, იმ ეპოქაში, რომელიც გვქონდა და მომავალშიც აუცილებლად გვექნება" (სააკაშვილი, 2005ა).

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალური მობილიზაციის რიტორიკაში ქმედებას განსაზღვრავს დანაკარგის ხასიათი. ზემოთ განხილული ტრიადა მიმართულია იმისკენ, რომ გაჩნდეს ქმედების სურვილი და განისაზღვროს კოლექტიური ბრძოლის მიზნები.

წარსულის და აწმყოს, აწმყოს და მომავლის დაპირისპირებით, იმ საშინაო და საგარეო აქტორების იდენტიფიკაციით, რომლებიც ახდენენ კომუნის ნგრევას და კონკრეტული გეგმის შემუშავებით, რომელიც დააბრუნებს საზოგადოებას იმ ფორმით, რომლითაც ოდესღაც ამყობდნენ, ხდება ეროვნული გადარჩენა, რაც გულისხმობს ეროვნულ განახლებას, არსებული მდგომარეობის შეცვლას და ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებას (Levinger, Lytle. 2001. 186). მაგალითად, საინტერესოა სააკაშვილის სიტყვები: „იმ ქვეყანაში, რომელშიც ვცხოვრობდით, ყველაფერი - ქუჩა, ეზო, სკოლა, ინსტიტუტი, ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულება კრიმინალიზებული იყო. გაუგებარი იყო, დამნაშავესაგან უფრო უნდა დაგეცვა თავი თუ იმისგან, ვისაც დამნაშავესგან დაცვა თავად ევალებოდა. ახალ საქართველოში ეზოებში ბავშვები თამაშობენ, ქუჩებში პატრული ამყარებს წესრიგს, სკოლებსა და ინსტიტუტებში სწავლობენ, ხოლო სახელმწიფო დაწესებულებებში ხალხს ემსახურებიან. სამართალდამცველი სამართალს და ხალხს იცავს, ხოლო დამნაშავე საკუთარი თავის დაცვას მართლმსაჯულებისგან ცდილობს, თუმცა აღარ გამოსდის. გაპარტახებული და წარუმატებლობის ჭაობში ჩაფლული ქვეყნის ნაცვლად ვცხოვრობთ ახალ საქართველოში, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დინამიკურად განვითარებადი სახელმწიფოა” (საკაშვილი, 2007). ამ სიტყვებით მიხეილ სააკაშვილი წარსდგა პარლამენტის წინაშე. თავდაპირველად ის საუბრობს იმ მდგომარეობაზე, რომელიც არსებობდა მისი ხელისუფლებაში მოსვლის დროს და შემდეგ გადადის სიტუაციაზე, რომელიც მისი პოლიტიკის წყალობით შეიქმნა, ანუ ქვეყანამ დაძლია ის დეგრადირებული აწმყო რაც არსებობდა.

„ჩვენი ქვეყანა დიდი გამოწვევების წინაშე იმყოფება, იგი ოკუპირებულია და მტერი არა მხოლოდ არ აპირებს პოზიციების დათმობას, ახალი შეტევით, ახალი პროვოკაციებითა და ახალი უბედურებით იმუქრება. ასეთ ვითარებაში გადამწყვეტია ჩვენი სიმტკიცე, ჩვენი, როგორც ერის ერთიანობა და ერთმანეთის გაძლიერება. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ქართველი ერი დაუმარცხებელია და ეს იცის მტერმაც. ქართველ ხალხს უკვე არჩეული აქვს თავის გზა. ამ გზას მივყავართ ევროპისკენ, უფრო მეტი დემოკრატიისკენ, კეთილდღეობისა და მოდერნიზმისკენ. ამ გზას მივყავართ გაჯანსაღებისკენ. მაგრამ ეს გზა არ იქნება მარტივი,

ამ გზაზე ბევრი დაბრკოლებების გადალახვა მოგვიწევს. ბევრი მტერი გადაგველობება და შეეცდება გზიდან ჩამოგდებას. მაგრამ თუ ჩვენ ყველას გვემახსოვრება სადა ვართ და საით მივდივართ, რანი ვართ და რა იყო ჩვენი წინაპრების ოცნება რისთვისაც ისინი თავს წირავდნენ, მაშინ არასოდეს არ შეგვეპარება ჩვენს სიმაართლეში ეჭვი. ჩვენ არასდროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოში მცხოვრებ ყველა ეთნიკურ ჯგუფს ყოველთვის შეჰქონდა წვლილი ჩვენი ქვეყნის თვისუფლებებისთვის ბრძოლაში (სააკაშვილი, 2010ბ), „ჩვენ გადავლახავთ ნებისმიერ დაბრკოლებას და დავძლევთ ნებისმიერ სირთულეს“ (სააკაშვილი, 2011გ) ვფიქრობთ, რომ სააკაშვილის რიტორიკაში მუდმივად ჩანდა ნაციონალური რიტორიკის ტრიადის ელემენტები, რომელთა საშუალებითაც ის ცდილობდა წარსულის, აწმყოსა და მომავლის დაპირისპირებას და ამით საზოგადოებამდე იმის მიტანას, რომ ქვეყანას შეუძლია დაძლიოს ყველა განსაცდელი და იცხოვროს ერთიან საზოგადოებად, სადაც უმთავრესი ღირებულებები იქნება თანასწორობა და ტოლერანტობა. მის მოხსენებებში ეთნიკური უმცირესობების წვლილის ხაზგასმაც ამის მანიშნებელია.

ვფიქრობთ, რომ ქართული პოლიტიკური ელიტების რიტორიკას 2003 - 2012 წლებში ნამდვილად ხსნის აღნიშნული ანალიტიკური ჩარჩო.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

მოცემულ ნაწილში მიმოვიხილავთ იმ ლიტერატურას, რომელიც უკავშირდება ნაციონალიზმს, ერის მშენებლობასა და ეროვნულ იდენტობას. გამოვიყენებთ იმ განმარტებებსა და თეორიულ მასალას, რომლებიც უკავშირდება ჩვენს საკვლევ საგანს და რომელიც მოგვცემს საშუალებას ავხსნათ კონკრეტული პოლიტიკა, რომელიც გაატარა სააკაშვილის მთავრობამ ერის მშენებლობის პროცესში. შესაბამისად შევძლებთ, 2003 - 2012 წლებში მიმდინარე პროცესების ფართო ანალიზს.

ნაციონალიზმი

ნაციონალიზმის მრავალი განმარტება არსებობს. ნაშრომში გამოვიყენებთ, სმითის განმარტებას, რომლის მიხედვითაც ნაციონალიზმი ეს არის იდეოლოგიური მოძრაობა, რომელიც მიმართულია ავტონომიის მოპოვებისკენ და მისი შენარჩუნებისკენ, არსებული ან პოტენციური ნაციის გაერთიანებისკენ და იდენტობის შექმნისკენ. როგორც მოძრაობა, ნაციონალიზმი ხშირად არის ნაციის წინმსწრები და ცდილობს შექმნას ნაცია (Smith, 1989. 108). რაც შეეხება ნაციას, სმითისთვის ნაცია არის ადამიანთა ერთობა, რომელსაც გააჩნია საერთო ისტორიული ტეორტორია, საერთო მითები და ისტორიული წარსული, საერთო მასობრივი კულტურა, საერთო ეკონომიკა და ერთიანი სამართლებრივი უფლებები და მოვალეობები (Smith, 1989. 342). ნაცია ეს არის პოლიტიკური ერთობა, რომელიც განიხილება მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოსთან კავშირში, ერთობა იქცევა ნაციად, როცა ის გააცნობიერებს საკუთარი სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობას და იბრძვის მის შესაქმნელად (დავითაშვილი, 2003. 14).

საინტერესოა ჰანს კონის განმარტება, რომლის მიხედვითაც ნაციონალიზმი არის ხალხის მასების ერთიან პოლიტიკურ ფორმად ინტეგრაციის საბოლოო შედეგი, რომელიც ცდილობს მოიცვას მთელი საზოგადოება. კონის აზრით, ნაციონალიზმისთვის ერი სახელმწიფო არის პოლიტიკური ორგანიზაციის იდეალური ფორმა, სადაც მოქალაქეობა წარმოადგენს კულტურული და ეკონომიკური განვითარების ძირითად წყაროს (Ozkirimli,

2010. 35). ნაციონალიზმის დასავლურ და აღმოსავლურ ტიპებად დაყოფა ჰანს კონს ეკუთვნის. სამოქალაქო ნაციონალიზმი კი ნაციონალიზმის დასავლურ ტიპთან ასოცირდება, რომელიც, კონის მიხედვით, ხასიათდება შემდეგი ნიშნებით, ღია საზოგადოება, ინდივიდუალიზმი, მოქალაქეთა კავშირი, რეალიზმი, თვითრწმენა, ბურჟუაზიის მხარდაჭერა (დავითაშვილი, 2003. 63).

სამოქალაქო ნაციონალიზმი არის რწმენებისა და გრძნობების ისეთი სისტემა, სადაც ერი არის ერთობა, რომელიც ემყარება ისეთ დემოკრატიულ პრინციპებს, როგორცაა კულტურული ტოლერანტობა და თანასწორობა (ბოგიშვილი, გავაშელიშვილი, გუგუშვილი, ოსეფაშვილი, 2016. 46). რომელიც გახდა სამოქალაქო ნაციონალიზმის ამოსავალი წერტილი საქართველოში.

ერის მშენებლობა

ერის მშენებლობა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც სხვადასხვა მიმართულებებს აერთიანებს და ძირითადად დამახასიათებელია პოსტ-საბჭოთა და პოსტ-კოლონიური ქვეყნებისთვის, სადაც უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ეთნიკურობასთან და მოქალაქეობასთან. თეორიული თვალსაზრისით ამ პროცესის დეფინიცია შემდეგნაირია: ეს არის პროცესი, რომელიც ახდენს კოლექტიური იდენტობის ფორმირებას, რათა მოხდეს ხელისუფლების ლეგიტიმაცია მოცემულ ტერიტორიაზე; გათვლილია მომავალზე და გულისხმობს არსებული ინტიტუციების, ტრადიციების, ადათების, ღირებულებების გადაფასებას და საზოგადოებაში ამ ყველაფრის ეროვნულ თავისებურებებად აღქმას, რომელიც განამტკიცებს სუვერენიტეტს. აღსანიშნავია, რომ ერის მშენებლობის პროცესი მოიცავს ასევე კულტურულ პროექტს, რომელიც აერთიანებს იმ ღირებულებებს, რწმენებს, ფასეულობებს რომლებიც ქმნის საერთო იდენტობას საზოგადოებაში (Utz, Hanschmann, Häußler, Bogdandy, 2005. 586).

უილიამ ბლუმი აღნიშნავს, რომ ერის მშენებლობაში იგულისხმება როგორც ახალი სახელმწიფოს შექმნა, ასევე ადამიანებს შორის ერთიანობის მიღწევა და ეროვნული იდენტობის გავრცელება. ამისთვის აუცილებელია მოქალაქეთა უმრავლესობა ჩართული იყოს სახელმწიფოს საქმიანობაში, ვინაიდან სწორედ ეს განსაზღვრავს მოქალაქის სახელმწიფოსთან იდენტიფიკაციის დონეს. ბლუმი ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ერის მშენებლობა ეს არის დაუსრულებელი პროცესი, ვინაიდან ყოველთვის იარსებებენ ადამიანები, რომლებიც იდენტიფიკაციას ვერ/არ ახდენენ ტიტულარულ ერთან ან სახელმწიფოსთან (Bloom, 1990. 55. 63).

ერის მშენებლობის პროცესთან დაკავშირებით, ჩემთვის ასევე საინტერესოა Raphael Utz-ის მოსაზრება, რომ ერის მშენებლობის პროცესში უმნიშვნელოვანესია ეროვნული ისტორიის სწორად გამოყენება, ვინაიდან ისტორია ყოველთვის ცდილობს წარმოაჩინოს ერის გამორჩეულობა და ამასთან, მმართველი ელიტა ხშირად იყენებს ისტორიულ გამოცდილებას რეჟიმის ლეგიტიმაციისთვის (Utz, 2005. 627-628).

აღსანიშნავია, რომ ერის მშენებლობის პროცესში განსაკუთრებული როლი აქვთ პოლიტიკურ ელიტებს, რომლებიც ცდილობენ მოსახლეობაში გაავრცელონ ისეთი იდენტობის მარკერები, რომლებიც ყველასათვის საერთო და მისაღები იქნება. Raphael Utz-ი ამის სამ მიზეზს ასახელებს: 1) ელიტებს აქვთ პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ინტერესი, 2) ისინი წარმოადგენენ განათლებულ ძალას, რომელთაც შეუძლიათ სათანადოდ გამოიყენონ ისტორიული წარსული და 3) ყოველივე ჩამოთვლილის გამო, მათ აქვთ მოსახლეობაზე გავლენის უნარი, ვინაიდან გააჩნიათ მასების მართვისა და კონტროლის ფუნქციები (Utz, 2005. 631).

ერთიან ერთად ჩამოყალიბება საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც დიდ ძალისხმევას მოითხოვს და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მყარი არსებობისთვის. Raphael Utz-ი წარმატებული ერის მშენებლობის პოლიტიკისთვის აუცილებელ შემდეგ კომპონენტებს გვთავაზობს: ნაციონალიზმი და დემოკრატია, ისინი უნდა თანაარსებობდნენ და ეყრდნობოდნენ ერთმანეთს; ელიტების შეხედულებები - ეს მნიშვნელოვანია იმდენად

რამდენადაც მათ აქვთ მოსახლეობის ფართო მასებზე გავლენის უნარი, ამასთან სწორედ ისინი ქმნიან ახალ ეროვნულ იდენტობას და ბოლოს, სიმბოლური ინსტიტუციები - აქ იგულისხმება ის, რომ ელიტებმა უნდა შეძლონ არსებული ტრადიციები, ინსტიტუტები ჩართონ ერის ინსტიტუციონალურ შემადგენლობაში, ვინაიდან შესაძლოა, რომ კონკრეტულ ინსტიტუტებს, ტრადიციებსა და ღირებულებებს ერისთვის ძალიან მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდეს (Utz, 2005. 632-636).

ეროვნული იდენტობა

ერის მშენებლობის პროცესში ეროვნულ იდენტობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ამის მიზეზი არის ის, რომ ეროვნული იდენტობა თავისი არსით გულისხმობს მიკუთვნებულობის გრძნობას ერის მიმართ, რომელიც დაფუძნებულია საერთო ტრადიციებზე, ისტორიაზე, კულტურაზე, ენაზე, პოლიტიკაზე. სმითი აღნიშნავს, რომ ნაციონალური იდენტობა გულისხმობს გარკვეულ ცნებას პოლიტიკური ერთობისა. პოლიტიკური ერთობა კი ნიშნავს გარკვეული საერთო ინსტიტუციებისა და ამ ერთობის ყველა წევრისთვის უფლებათა და მოვალეობათა ერთიანი სისტემის არსებობას (სმითი, 2008. 10).

ნაშრომში ასევე ვიყენებთ უილიამ ბლუმის განმარტებასაც, რომლის მიხედვითაც, ეროვნული იდენტობა ასახავს მდგომარეობას, როცა ხალხის მასები ახდენენ იდენტიფიკაციას ეროვნულ სიმბოლოებთან, შესაბამისად ისინი მოქმედებენ როგორც ერთი მთლიანი სხეული როცა ეროვნული იდენტობის სიმბოლოებს საფრთხე ემუქრება (Bloom, 1999. 52). როგორც მოგეხსენებათ, ეროვნულ სიმბოლოებში იგულისხმება ეროვნული დროშა, ეროვნული ჰიმნი და გერბი. ჩვენთვის ასევე საინტერესოა სმითის მიერ შემოთავაზებული ეროვნული იდენტობის ელემენტები, ესენია: ისტორიული ტერიტორია - სამშობლო, ერთიანი პოლიტიკური ნების არსებობა, საერთო საზოგადოებრივი მასკულტურა, საერთო მითები და ისტორიული მეხსიერება და საერთო ეკონომიკა (სმითი, 2008. 17).

ერის ფორმირების პროცესთან დაკავშირებით საინტერესოა უოლკერ კონორის შეხედულება, რომ ნაციის ფორმირება ეს არის პროცესი, ვინაიდან ხალხი ნაციად რომ იქცეს საჭიროა ერთიანობის განცდა, საერთო ეროვნული თვითშეგნება, რომელიც დროთა განმავლობაში ყალიბდება და არ არსებობს ერთი კონკრეტული თარიღი (Connor, 1990. 100). შესაბამისად ნაციების ფორმირების პროცესი და ხალხის ნაციად ჩამოყალიბების თარიღი ყველა ქვეყნისთვის ინდივიდუალურია და შეიძლება ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდეს.

ნაციონალიზმი შევარდნადის პერიოდში

ვინაიდან ნაშრომი ეხება 2003 - 2012 წლების პერიოდში ერის მშენებლობის პროცესს, სადაც მთავარი იყო სამოქალაქო ნაციონალიზმის პრინციპებზე დაყრდნობით ეროვნული ინტეგრაციის მიღწევა, აუცილებლად მივიჩნით 1992 - 2003 წლების პერიოდის იმ ასპექტების მოკლე მიმოხილვა, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს საკვლევ საკითხთან, კერძოდ სამოქალაქო ნაციონალიზმთან და ეროვნულ ინტეგრაციასთან. მოცემული თავი მკითხველს მისცემს საშუალებას, გაიგოს თუ რა მდგომარეობა იყო სამოქალაქო ნაციონალიზმის კუთხით ქვეყანაში, რა პოლიტიკა ტარდებოდა ეთნიკური უმცირესობების მიმართ და როგორი იყო მათი ინტეგრაციის დონე.

სტივენ ჯონსი, წიგნში საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, შევარდნადის პერიოდს მოიხსენიებს როგორც პრაგმატულ ნაციონალიზმს და ამბობს, რომ 1992 წლის მარტიდან ქართული პოლიტიკა ლიბერალურ პრინციპებზე გადავიდა, აგრესიული ნაციონალიზმის რიტორიკა შეიცვალა სამოქალაქო რიტორიკით, სადაც ძირითადი აქცენტები კეთდებოდა მოქალაქეობის, უმცირესობათა უფლებებისა და ფედერალიზმის შესახებ. შეიქმნა სამართლებრივი ჩარჩოები დემოკრატიული მრავალეროვნული საზოგადოების განვითარებისთვის, კანონი მოქალაქეობის შესახებ არ გულისხმობდა რაიმე დამატებით მოთხოვნებს და უპრობლემოდ ანიჭებდა საქართველოში მცხოვრებ ყველა პირს მოქალაქეობას. მნიშვნელოვანი იყო 1999 წელს პასპორტებიდან ეროვნულობის აღმნიშვნელი რეკვიზიტების ამოღება, საფუძველი

ჩაეყარა სამოქალაქო და უმცირესობათა უფლებებს, შეიქმნა ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტი, სახალხო დამცველის ინსტიტუტი, მოხდა ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის და ბევრი სხვა კონვენციის რატიფიცირება, რომლებიც დაკავშირებული იყო რასობრივ თუ სხვა სახის დისკრიმინაციასთან (ჯონსი, 2012. 315-317).

ჯონსისგან განსხვავებულ მოსაზრებას აყალიბებს ნატალია საბანაძე წიგნში, "ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, საქართველოსა და ბასკეთის მაგალითები", მისი აზრით, 1995-2003 წლებში ქართულმა ნაციონალიზმმა ეთნორელიგიური ნაციონალიზმის ფორმა მიიღო. ნაციონალისტური დისკურსის ცენტრი რელიგია და ქართული მართლმადიდებლური ეკლესია გახდა. მართლმადიდებლობა გახდა ქართული ეროვნული იდენტობის ფუნდამენტი, ქვაკუთხედი, რომელიც საჭიროებდა დაცვას სამყაროში სადაც გლობალიზაციის პროცესი მიმდინარეობდა (Sabanadze, 2010).

შევარდნაძის პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების მიმართ

შევარდნაძის პერიოდის სამოქალაქო ნაციონალიზმზე საუბრობს ირაკლი ჩხაიძე, სადისერტაციო ნაშრომში, "ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ: ნაციონალური პროექტის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში". ავტორი აღნიშნავს, რომ აღნიშნული პერიოდი ნამდვილად ხასიათდება ეთნიკური ნაციონალიზმის სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ ტრანსფორმაციით, რაც ყველაზე მეტად გამოიხატა საკანონმდებლო ცვლილებებში, იგულისხმება კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ და საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც აღიარებს, რომ ყველა ადამიანი, განურჩევლად რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა სახის მიკუთვნებულობისა, დაბადებით თანასწორია. საქართველოს სახელმწიფო აღიარებს საქართველოს მოქალაქეების უფლებას განავითარონ საკუთარი კულტურა, ისარგებლონ მშობლიური ენით, მაგრამ ეს ყველაფერი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტსა და სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას (ჩხაიძე, 2016. 142). ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ პოლიტიკური ელიტების რიტორიკაც შეიცვალა სამოქალაქო

კუთხით და წინა პლანზე წამოიწია სამოქალაქო ნაციონალიზმის ისეთი მახასიათებლების მნიშვნელობის ხაზგასმამ როგორცაა ტოლერანტობა, თანასწორობა, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება. რიტორიკაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სამოქალაქო ინტეგრაციამ, რომლის ფარგლებშიც მუდმივად აღინიშნებოდა ის, რომ ეთნიკური უმცირესობები საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქეები არიან და მათი უფლებები და თავისუფლებები კონსტიტუციურადაა დაკანონებული (ჩხაიძე, 2016. 134).

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის მკვლევარი, გიორგი სორდია, სამუშაო მოხსენებაში, რომელიც ეხება ეროვნულ უმცირესობათა მართვის ინსტიტუტებს აღმასრულებელ და საკანონმდებლო დონეზე, საუბრობს იმ ინსტიტუციურ სისტემაზე, რომელიც არსებობდა შევარდნაძის პერიოდში სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით (1992-2003 წლებში) და აღნიშნავს, რომ პირველი ინსტიტუტი რომელიც დაფუძნდა იყო სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში ადამიანის უფლებათა დაცვის სპეციალური სამსახური, რომლის მთავარი დანიშნულებაც იყო გამსახურდიას პერიოდში არსებული იმ საქმეების გამოძიება, რომლებიც ეხებოდა ადამიანის უფლებების დარღვევას. ინსტიტუტი 1995 წლამდე ფუნქციონირებდა. შემდეგი ნაბიჯი, რომელიც ბოლომდე არ მისულა იყო ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის სფეროსთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ჩარჩოზე მუშაობის დაწყება, თუმცა დადგენილების დამტკიცება ვერ მოხერხდა. შემდეგი ნაბიჯი იყო 1992 წელს დაფუძნებული ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტი, 1995 წელს შექმნილი მესხების საკითხებზე მომუშავე სპეციალური სამთავრობო კომისია, 1997 წელს საქართველოს უშიშროების საბჭოში დაფუძნებული ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭო, რომელიც შედარებით უკეთ ფუნქციონირებდა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მოძიების კუთხით, უწყება მოქმედებდა 2002 წლამდე (სორდია, 2009. 8-10).

მიუხედავად გარკვეული მცდელობებისა, რაიმე კონკრეტული პოლიტიკა უმცირესობების მიმართ არ შემუშავებულა და შეიძლება ითქვას, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნაბიჯი ფასადური ხასიათის იყო. ვერ მოხერხდა სამოქალაქო ნაციონალიზმის ერთ-ერთი მთავარი

მიზნის მიღწევა, განსხვავებებისა და იმ გამოთიშულობის აღმოფხვრა რაც ეთნიკურ უმცირესობებსა და უმრავლესობას შორის არსებობდა.

ასეთ პოლიტიკას გაი ნოდია უწოდებს "ძილს ნუ გაუფრთხობთ მთვლემარე ნაგაზებს". მისი აზრით, შევარდნადის მმართველობის დროს არ არსებობდა საჯაროდ ფორმულირებული ეთნიკური პოლიტიკა და იმ "ეთნიკური პოლიტიკის" არსი, რაც არსებობდა, მდგომარეობდა იმაში, რომ უნდა მომხდარიყო ეთნიკური საკითხების იზოლირება საჯარო სფეროსგან, უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე არ უნდა ყოფილიყო პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ზედმეტი აქტიურობა. ინტეგრაციის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო - განათლება, ნამდვილად არ გამოიყენებოდა მიზნის მისაღწევად, რადგან არაქართულენოვან სკოლებში სახელმძღვანელოებს მეზობელი ქვეყნები (სომხეთი და აზერბაიჯანი) უზრუნველყოფდნენ, შესაბამისად ისინი ვერ ახერხებდნენ რომ ყოფილიყვნენ საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქეები (ნოდია, 2003). ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციით, სახელმწიფო ენად განსაზღვრულია ქართული, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კი ქართულთან ერთად აფხაზური, უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა ენის არცოდნა ეთნიკურ უმცირესობებში, განსაკუთრებით ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. ძალიან დაბალი იყო ქართული ენის სწავლების ხარისხი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებსა და შემდგომ უმაღლეს სასწავლებლებში. აღსანიშნავია, რომ შევარდნადის პოლიტიკა ამ კუთხით საკანონმდებლო ცვლილებებით გამოიხატა. მაგალითად, 1997 წელს, საქართველოს კანონით საჯარო სამსახურის შესახებ, განისაზღვრა, რომ საქმიანობა უნდა წარმართულიყო სახელმწიფო ენაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეთნიკურ უმცირესობებს არ ჰქონდათ ინტერესი ქართული ენის შესწავლის მიმართ, ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ისიც, რომ არ ყოფილა ხელშეწყობა მათი დასაქმების კუთხით. ენის პოლიტიკის ნაწილი იყო საქართველოს კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, რომლის მიხედვითაც საქმისწარმოების ენაა ქართული, ხოლო მათთვის ვინც არ იცის მიეჩინება თარჯიმანი; ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, ყველა ყველა დოკუმენტი უნდა წარმოდგენილიყო ქართულ ენაზე, ხოლო სხვა ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტს თან უნდა

დართვოდა ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი, ასევე საარჩევნო კოდექსში განისაზღვრა, რომ საარჩევნო ბიულეტენები შესრულებული უნდა ყოფილიყო ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში აფხაზურ ენაზეც, ხოლო ენობრივი უმცირესობებისთვის მათ ენაზეც (Amierjibi-Mullen, 2011. 273-275). მიუხედავად გარკვეული მცდელობებისა, ეთნიკურ უმცირესობებში ენის ცოდნის გაუმჯობესების კუთხით ცვლილებები არ ყოფილა.

მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ ძალიან ცუდი სიტუაცია იყო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, გზების გაუმართაობის გამო ჯავახეთი და წალკა მოწყვეტილი იყო ქვეყნის დანარჩენ ნაწილს. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯავახეთში მოსახლეობისთვის ხელმიუწვდომელი იყო საზოგადოებრივი სარგებელი და მოსახლეობა დახმარებას რუსული სამხედრო ბაზისგან იღებდა, შესაბამისად ბრუნვაში უფრო მეტად რუსული ვალუტა იყო რაც კიდევ უფრო უწყობდა ხელს რეგიონის ჩამოშორებას დანარჩენი საქართველოსგან. სიტუაციას ართულებდა ისიც, რომ ჯავახეთში მაღალი თანამდებობები ეკავათ მდიდარ სომხებს, რომლებიც წარმოადგენდნენ გავლენიან ბიზნესმენებს, შესაბამისად მათი ინტერესი არ ყოფილა ინტეგრაცია და ისინი ვერც ხალხის წარმომადგენლებად ჩაითვლებოდნენ. ქვემო ქართლში, კი თანამდებობებს ქართველები იკავებდნენ, რაც ადგილობრივ მოსახლეობას უქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ისინი არ იყვნენ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანნი (უითლი, 2009. 12-13).

ასეთმა პოლიტიკამ გამოიწვია ის, რომ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის არ ყოფილა საერთო ინტერესები, არ არსებობდა სივრცე დემოკრატიული განვითარებისთვის. შესაბამისად მივიღეთ სურათი სადაც, ეთნიკური უმცირესობები სრულიად იზოლირებულნი იყვნენ სახელმწიფოსგან და ერისგან.

სიტუაციას ართულებდა ისიც, რომ შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდს დაემთხვა პოლიტიკური რეჟიმის კრიზისიც. ქვეყანა აღმოჩნდა მდგომარეობაში, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა სახელმწიფოს ინსტიტუციური სისტემის გამართულობას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის გამოცემაში, წელიწადეული 2004 – ვარდების რევოლუცია, შესულია სხვადასხვა სტატიები ვარდების

რევოლუციის წინაპირობების შესახებ, სადაც ავტორები თანხმდებიან, რომ შევარდნადის რეჟიმის კრიზისი გამოიწვია ინსტიტუტების გაუმართაობამ.

სტატიის "სახელისუფლებო ინსტიტუტების კრიზისი საქართველოში, როგორც "ვარდების რევოლუციის" წინაპირობა", ავტორი დავით ცაგარეიშვილი კრიზისზე საუბრისას თავდაპირველად ეხება ეკონომიკურ სისტემას, როცა მოხდა საგეგმო-ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი და ეკონომიკის ლიბერალიზაცია, რომლის მთავარი შედეგი დემოკრატიული საზოგადოების ფორმირება და მატერიალური კეთილდღეობის გაზრდა უნდა ყოფილიყო, თუმცა ამ ნაბიჯმა უკუშედეგი გამოიღო და მივიღეთ კორუფცია, დანაშაულის ზრდა, მასობრივი სილატაკე, ნარკომანია, ელიტების გამდიდრება, მაფიოზური კლანების ჩამოყალიბება და მათი სახელმწიფოსთან შერწყმა. ეს ყველაფერი კი გამოიწვია ეკონომიკური რეფორმების გაჭიანურებამ და არათანმიმდევრულობამ, არაეფექტურმა სოციალურმა პოლიტიკამ და "მტაცებლურმა" პრივატიზაციამ. ასეთმა მდგომარეობამ საზოგადოებაში დიდი იმედგაცრუება და სოციალური დამაბულობის ზრდა გამოიწვია. გამწვავდა კონფლიქტური სიტუაციები და პოლიტიკური სისტემა, რომელიც ძალიან სუსტი იყო ვერ ახერხებდა პრობლემებთან გამკლავებას. ჩნდება კითხვა, რა იწვევდა პოლიტიკური სისტემის ასეთ უუნარობას? ამ კითხვაზე პასუხია ელიტები. მმართველმა ელიტამ საზოგადოების ინტერესებზე საკუთარი ინტერესების მაღლა დაყენებით შეაფერხა დემოკრატიული პროცესების განვითარება და გავლენა მოახდინა პოლიტიკური ინსტიტუტების ხასიათსა და ფუნქციონირებაზე. ამას დაემატა ის, მოხდა სახელისუფლო სისტემის დეფორმაცია, რაც გამოწვეული იყო პრეზიდენტის როლის ზრდით. ანუ პრეზიდენტი ითვისებდა სახელმწიფო და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის ფუნქციას და ამასთანავე ითავსებდა კანონშემოქმედებით ფუნქციასაც. ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლების თითოეული შტო ერთმანეთთან დაპირისპირებული იყო, ამას ემატებოდა ის რომ პრეზიდენტის გავლენის ქვეშ მოექცა ყველა ინსტიტუტი. შესაბამისად პოლიტიკური სისტემა სულ უფრო მეტად სუსტდებოდა. ეს ყველაფერი კი გახდა "ვარდების რევოლუციის" წინაპირობა (ცაგარეიშვილი, 2004. 70-84).

ყოველივე ზემოთაღნიშნულმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა სახელმწიფოს არსებობა, ვინაიდან კანონმა დაკარგა ძალა, კორუფცია გავრცელდა ხელისუფლების ყველა დონეზე, იყო უკიდურესი სიღარიბე, საზოგადოება იყო დაშლილი და არ არსებობდა ერთიანობის განცდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ქართული ნაციონალიზმის ცვლილება ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ შევარდნაძის პერიოდში დაიწყო, ეთნიკური რიტორიკა შეცვალა სამოქალაქო რიტორიკამ. იყო სურვილი მომხდარიყო საზოგადოების გაერთიანება და დაძლეულიყო ის სირთულეები რაც თან ახლდა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას, თუმცა შევარდნაძის მიერ გატარებული პოლიტიკა დადებითად არ ასახულა ეროვნული ინტეგრაციის პროცესზე, ინსტიტუციურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა კი მდგომარეობა უფრო გაართულა. ახალ ხელისუფლებას ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დახვდა, რაც გარდაუვალს ხდიდა ერის მშენებლობის აუცილებლობას.

3. ერის მშენებლობის პროცესი 2003 – 2012 წლების საქართველოში

ერის მშენებლობის პროცესი, რომელიც დამახასიათებელია ძირითადად პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისთვის, რიგ ქვეყნებში კვლავ აქტუალურია, მათ შორის საქართველოშიც, ვინაიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოსთვის მთავარი გამოწვევა სამოქალაქო ნაციისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა გახდა. აღნიშნული პროცესები სხვადასხვა მმართველობის პერიოდში სხვადასხვა სახეს იძენდა, შედეგად 2003 წელს ვარდების რევოლუციის გზით მოსულ ხელისუფლებას ერის მშენებლობის აუცილებლობა დახვდა.

აღსანიშნავია, რომ ერის მშენებლობის პროცესი საქართველოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა და ამ პროცესს რამდენიმე სხვადასხვა მიზეზი ართულებდა. მაგალითად, ეს სირთულეები იყო: სეპარატისტული კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში; აჭარის ავტონომიურობა; ცალკე ჩამოყალიბებული მეგრული იდენტობა, რომელიც განპირობებული იყო 1992-93 წლების სამოქალაქო ომით გამოწვეული ტრამვით; ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის კულტურული გამოყოფა. დროთა განმავლობაში ამ პრობლემების არსი შედარებით შეიცვალა; ასეთი იყო სამეგრელოს საკითხი, რომლის მიმართ თავდაპირველი შეხედულება, რომ მეგრული ენა შეიძლებოდა გამხდარიყო სეპარატისტული ეთნო-პოლიტიკური პროექტის საფუძველი, რომელიც დიდ საფრთხეს შეუქმნიდა ქართველ ერს, იყო უცხოელი დამკვირვებლების მცდარი მოსაზრება. ამას ისიც მოწმობს, რომ სააკაშვილი ყველაზე პოპულარული სწორედ სამეგრელოში იყო. რაც შეეხება აჭარის საკითხს, 2004 წლის მოვლენების შემდეგ, აჭარის ავტონომიის სტატუსი შენარჩუნდა მაგრამ შედარებით შეზღუდულ ჩარჩოებში. აღსანიშნავია, რომ ეს ითვლებოდა ეროვნული პროექტის პირველ წარმატებად. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემთხვევებში, ეროვნულმა პროექტმა სრული მარცხი განიცადა და შეიძლება ითქვას, რომ პროექტი ორ ეტაპზე ჩავარდა, პირველად დროებითი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებების დადების დროს, რამაც ხელი შეუწყო სეპარატისტული კონტროლის ლეგიტიმაციას და მეორედ, 2008 წლის ომის დროს (Nodia, 2016. 61-70).

3.1 ეროვნულ ინტეგრაციასთან დაკავშირებული ერის მშენებლობის პროცესი

საკაშვილის ეროვნულ ინტეგრაციასთან დაკავშირებული ერის მშენებლობის პროცესი, დაიწყო ინსტიტუციური ცვლილებებით, რომელიც ქმნიდა საფუძველს ეროვნული პროექტის განხორციელებისთვის. მოცემულ ნაწილში მკითხველს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს იმ ინსტიტუტებს, რომლებიც დაფუძნდა ან გაძლიერდა ეროვნული ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.

პირველი ინსტიტუტი რომელიც შეიქმნა ეს იყო სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი (2004 წელი), მინისტრად კი დაინიშნა ოსი ეროვნების ქალბატონი (ზინაიდა ბესტაევა). სამინისტროს ძირითადი მოვალეობა იყო ეროვნულ უმცირესობათა ჩართულობის და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ეთნიკურ უმცირესობებთან კავშირების დამყარება და მათთვის სხვადასხვა პროგრამების შემუშავება, ასევე სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე წინადადებების, რეკომენდაციების მომზადება. 2007 წელს არაეფექტურობის გამო სამინისტრო გაუქმდა.

2008 წელს შეიქმნა სახელმწიფო მინისტრის აპარატი რეინტეგრაციის საკითხებში, რომელიც იქცა მთავარ სამთავრობო უწყებად, რომელსაც დაევა სამოქალაქო ინტეგრაციის და ეროვნული უმცირესობების საკითხებთან დაკავშირებით პოლიტიკის შემუშავება, კოორდინაცია და შესრულება.

შემდეგი იყო საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში და შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭო, რომელთა მთავარი ფუნქცია იყო შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შემუშავება, მონიტორინგი და კოორდინაცია. საბჭოს მთავარი მიღწევა იყო შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის მიღება და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

სახალხო დამცველის მნიშვნელობა ეროვნული ინტეგრაციის პროცესში უფრო მეტად გაიზარდა მას შემდეგ, რაც 2005 წლის დეკემბერში დაფუძნდა ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, როგორც სპეციალური, მუდმივმოქმედი საკონსულტაციო ორგანო, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობის გაღრმავებას ეროვნულ უმცირესობებსა და მთავრობას შორის. საბჭოს როლი უფრო მეტად მნიშვნელოვანი გახდა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის მიღების შემდეგ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს თამაშობს ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის პროცესში. ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო მართვის სკოლის დაარსება, რომლის მიზანიც საჯარო სფეროში დასაქმების მსურველ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების გადამზადება იყო. სკოლა მათ ასევე ენის შესწავის შესაძლებლობას აძლევს (სორდია, 2009. 16-35).

4. მიხეილ სააკაშვილის ეროვნული პროექტი, I ეტაპი - 2004 - 2008 წლები

2003 - 2012 წლების ეროვნული პროექტი შეიძლება დავყოთ ორ ეტაპად, პირველი ეტაპი მოიცავს 2004-2008 წლების პერიოდს, როცა დაიწყო პირველი ნაბიჯების გადადგმა ეროვნული ინტეგრაციის მისაღწევად, ამ პროცესში გამოიკვეთა პოლიტიკის შემდეგი ძირითადი ინსტრუმენტები: ახალი სამოქალაქო ნაციონალური იდენტობის ფორმირება, სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია და განათლების სისტემის რეფორმა. კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების, პოლიტიკური ელიტების რიტორიკის, გატარებული რეფორმებისა და განხორციელებული პროგრამების საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული პროგრამა აშკარად ეფუძნება სამოქალაქო ნაციონალიზმის ღირებულებებს, მაგრამ პროექტის პირველი ეტაპი არ ხასიათდება მნიშვნელოვანი წარმატებით, თუმცა ნამდვილად იქონია გავლენა სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარებაზე, რადგან პირველი ფორმულირებული პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მისაღწევად, რომელიც ეფუძნებოდა თანასწორობას, თავისუფლებას, მოქალაქეობას სწორედ ამ პერიოდში შემუშავდა.

4.1 სამოქალაქო ეროვნული იდენტობის ფორმირება

სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარებისთვის მოსახლეობაში ერთიანობის განცდა, თითოეული მოქალაქის მიერ იმის გააზრება, რომ ისინი ერთი ერის წარმომადგენლები არიან, რომ მათ უნდა ჰქონდეთ საერთო ინტერესები და თითოეული მათგანი ჩართული უნდა იყოს ქვეყნის საქმიანობაში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სხვაგვარად შეუძლებელია სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარება. ამ ყველაფრის მისაღწევად ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საერთო ეროვნული იდენტობის ფორმირება.

ერის მშენებლობის პროცესში სააკაშვილის მთავრობის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო ეროვნული სიმბოლოების ცვლილება, რომელსაც სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა და

მიზანი იყო საქართველოს ისტორიული წარსულის მნიშვნელობის ხაზგასმა. მაგალითად, ხუთჯვრიანი დროშა იყო სიმბოლო იმისა, რომ საქართველო ოდითგანვე წარმოადგენდა ქრისტიანული სამყაროს ნაწილს, შესაბამისად ყოველთვის ჰქონდა კავშირი დასავლეთთან. აღსანიშნავია, რომ მიხეილ სააკაშვილი ამას 2004 წლის ინაუგურაციის მიმართვაშიც ხაზს უსვამს და ამბობს, რომ ქართველები უძველესი ევროპელები არიან, საინტერესოა ასევე მის მიერ წარმოთქმული სიტყვები ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში, რომ ქართველები ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრები არიან, არა მარტო გეოგრაფიული ფაქტორით, არამედ ეროვნული იდენტიფიკაციის თვალსაზრისითაც (საკაშვილი, 2004ბ).

ერის მშენებლობის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია სწორად იქნეს შერჩეული კონკრეტული ფაქტები ისტორიული წარსულიდან. როგორც მოგეხსენებათ სააკაშვილის მთავარი მიზანი, ქვეყნის გაერთიანება იყო, ამ მხრივ საინტერესოა მისი მიმართვა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ალლუმზე: "როდესაც საქართველოს გაერთიანებაზე ვლაპარაკობთ, უნდა დავუბრუნდეთ ქართველი ერის მთავარ საფუძველს - ორმა მმართველმა ირწმუნა, რომ ძალა ერთობაშია, ორი დიდი მეფე ფარნავაზი და ქუჯი დადგა ერთად, საქართველო გახდა მთლიანი" (საკაშვილი, 2004ბ). ასევე საინტერესოა ის, რომ სააკაშვილი მისაბამ პერსონად იყენებდა დავით აღმაშენებელს, რომელიც იყო სიმბოლო ერთიანი საქართველოსი.

ერისა და ქვეყნის მშენებლობის პროცესში, საქართველოს საბჭოთა წარსული გახდა იარაღი სახელმწიფოს ხელში, რათა მომხდარიყო საბჭოთა ისტორიისა და მეხსიერების დაგმობა და გაქრობა, ამასთანავე საბჭოთა წარსული წარმოადგენდა იმ "სხვას", რომელთან დაპირისპირებითაც უნდა მომხდარიყო ახალი დასავლური და ევროპული იდენტობის ჩამოყალიბება, რომელიც დაეფუძნებოდა თანასწორობას, ტოლერანტობას, თანაბარ უფლებებს, დემოკრატიას. სააკაშვილი საბჭოთა კავშირს მოიხსენიებდა როგორც კრიმინალურ რეჟიმს, ქვეყანას რომელიც წარმოადგენდა ციხეს, რომლის დროშაც (Leonardis, 2016. 28) "რევოლუციური იდეალებისთვის მებრძოლთა სისხლში იყო გასვრილი"(საკაშვილი, 2011ა), და როდესაც 2005 წელს, მან რუსეთს წაუყენა მოთხოვნა

სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ, მან აღნიშნა, რომ ეს იყო საბჭოთა კავშირის უკანასკნელი ნარჩენები. სააკაშვილი ამ ყველაფერს მიიჩნევდა როგორც საქართველოს გათავისუფლებისკენ გადადგმულ მორიგ ნაბიჯს და ყოველთვის აღნიშავდა, რომ საქართველო იყო ერთადერთი პოსტ-საბჭოთა ქვეყანა, რომელმაც სრულიად მოიშორა საბჭოთა მემკვიდრეობა (Leonardis, 2016. 28).

საკაშვილის პოლიტიკა ისტორიის ხედვას განიხილავდა როგორც ერის წარმოშობის თეოლოგიურ პროცესს*, სადაც მნიშვნელოვანი იყო წარსულის "ოქროს ხანასთან" იდენტიფიკაცია და ღირსების დაბრუნება. მისი პოლიტიკის მთავარი მიზანი იყო დაკარგული "ოქროს ხანის" აღორძინება და საქართველოს ევროპულ ოჯახში დაბრუნება, რომელიც დაასრულებდა ქვეყნისთვის რთულ გარდამავალ პერიოდს. სწორედ ამიტომ, სააკაშვილის ნაციონალიზმი აქცენტს აკეთებდა დასავლურ ღირებულებებზე, ლიბერალურ დემოკრატიაზე და საქართველოს წარმოაჩენდა როგორც ევროპულ ქვეყანას, რომელიც მუდმივად იყო ევროპის ნაწილი და რომლისგანაც არასდროს უნდა განცალკევებულიყო. ვარდების რევოლუციიდან მოკლე ხანში სააკაშვილმა შეიმუშავა ფართომასშტაბიანი პოლიტიკა, რომელიც გულისხმობდა ტრადიციის გამოგონებას. მაგალითად, ინაუგურაციამდე ცოტა ხნით ადრე ვიზიტი დავით აღმაშენებლის საფლავზე სააკაშვილის მხრიდან იყო იმის წარმოჩინება, რომ ის იყო დავით აღმაშენებლის მემკვიდრე, რომელიც იზიებდა საქართველოს გაერთიანებას და მტრების განდევნას (Leonardis, 2016. 27). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ საზოგადოებაშიც გაჩნდა ეს ნარატივი, მაგალითად, 2011 წელს, შობის დღესასწაულზე, როდესაც მიხეილ სააკაშვილი სომხურ მართლმადიდებლურ ეკლესიას ეწვია მას შემდეგი სიტყვებით მიმართა სომხური მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის ეპისკოპოსმა, მეუფე ვაზგენმა, „ჩვენთვის დიდი პატივია, რომ ამ მნიშვნელოვან დღეს, ჩვენს ტაძარს მიხეილ სააკაშვილი ეწვია, ისე, როგორც ამას აკეთებდა დავით აღმაშენებელი. ეს გამოხატავს თქვენს კეთილგანწყობას და

* თეოლოგია - იდეალისტური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ყოველი განვითარება არის წინასწარ განსაზღვრული მიზნის განხორციელება

პატივისცემას. დავით აღმაშენებელი სტუმრობდა როგორც ქრისტიანულ, ისე მუსლიმურ სალოცავებს. მოხარული ვარ, რომ ეს ტრადიცია გრძელდება" (მეუფე ვაზგენი, 2011)

საინტერესოა ის საერთო ისტორიული წარსული რომელიც ერთი მხრივ დაკავშირებული იყო ევროპასთან და ამერიკასთან, და მეორე მხრივ საბჭოთა კავშირთან. ეს იყო მეორე მსოფლიო ომი, რომელიც წარმოადგენდა ერთ-ერთ რთული საკითხს სააკაშვილისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის, ვინაიდან ეს იყო საერთო წარსული ევროპასთან და ამერიკასთან ერთად და მისი სრული უარყოფა საფრთხეს წარმოადგენდა. სააკაშვილის მიზანი იყო მოეხდინა მეორე მსოფლიო ომის ისტორიული მეხსიერების დესოვიეტაცია (Leonardis, 2016. 32), შესაბამისად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას თუ როგორ მიეწოდებოდა საზოგადოებას ახალი ნარატივი. ამასთან დაკავშირებით გაჟღერდა ასეთი მიმართვა, რომ ევროპა და ცივილური სამყარო 8 მაისს აღნიშნავს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს, როცა რუსეთი აქაც გამონაკლისია და 9 მაისს აღნიშნავს ამ დღეს (ვაშაძე, 2011). ქართული პოლიტიკური ელიტის მიზანი იყო იმის ხაზგასმა, რომ საქართველო დასავლური სამყაროს ნაწილია და ამ დღის აღნიშვნა სწორედ ევროპასთან ერთად ურჩევნია და არა რუსეთთან ერთად.

1992-2003 წლებში, ქართული ეროვნული იდენტობის მარკერი გახდა სეკულარული მითი და რწმენა, რომ საქართველოს ისტორია არის ისტორია აბრეშუმის გზის, რაც გულისხმობდა იმას, რომ საქართველო წარმოადგენდა კულტურათა გზაჯვარედინს (Amirejibi-Mullen, 306). ამ მოსაზრების საპირისპიროდ, ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართული იდენტობის მთავარი მარკერი იყო რელიგია. მაგალითად, ზაზა შათირიშვილი სტატიაში, ნაციონალური იდენტობა და ნაციონალური ნარატივები აღნიშნავს, რომ არსებობდა იდენტობის ფორმა - "ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ მართლმადიდებელი" (შათირიშვილი, 2010).

ამ პერიოდში შეიძლება ითქვას, რომ არ მომხდარა მთელი საზოგადოებისთვის საერთო იდენტობის ფორმირება და მის ქვეშ მთელი მოსახლეობის გაერთიანება. რაც შეეხება იდენტობის ფორმირებას 2003 - 2012 წლებში, აქ მთავარი მიზანი იყო იდენტობის ჩამოყალიბება სამოქალაქო ნაციონალიზმის ფარგლებში. გია ნოდია გვთავაზობს

იდენტობის ფორმირების პროცესის ძირითად ელემენტებს, ესენია: იდენტობის მარკერები: ტერიტორია, ისტორიული წარსული, ენა, რელიგია. მეორეა პოლიტიკური პროექტი, რომელიც გულისხმობს გარკვეულ მიზანს, მაგალითად ეს შეიძლება იყოს ეროვნული იდენტობის ფორმირება, შენარჩუნება ან გავრცელება, შემდეგია უცხო ხატი, მესამე ელემენტია სანიმუშო მოდელი, რომელიც საჭიროა იმ არასასურველი მარკერების დასაძლევად, რომლებიც აფერხებს განვითარების პროცესს და ბოლოს შინაური უცხო, აქ იგულისხმება ის ჯგუფები, რომლებიც ვერ ახდენენ იდენტიფიკაციას ტიტულარულ ერთან, ჩვენს შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობები (ნოდია, 2007.120-121).

ვფიქრობთ, რომ სააკაშვილის მთავრობის პოლიტიკა ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესში სწორედ ამ ელემენტებს ეყრდნობოდა: ეროვნული პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ საერთო იდენტობის ჩამოყალიბება იყო, ამ პროცესში კი ხდებოდა ისტორიული წარსულის გამოყენება, საბჭოთა კავშირის, როგორც უცხო ხატის დამკვიდრება მოსახლეობაში, დასავლეთი როგორც იდეალური მოდელი და ბოლოს შინაური უცხო - ანუ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია.

მოწოდება სახელმწიფო საქმიანობაში ჩართვის შესახებ

საკაშვილი დასაწყისშივე აღნიშნავდა, რომ ის აპირებდა ახალი სახელმწიფოს შექმნას. ამ პროცესში კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო ინტეგრაციას. ამ მხრივ ქვეყანაში საკმაოდ მძიმე სიტუაცია იყო, ვინაიდან ეთნიკური უმცირესობები სრულიად გამოთიშულნი იყვნენ და შეიძლება ითქვას, რომ არანაირი კავშირი არ გააჩნდათ არც ერთან და არც სახელმწიფოსთან. ასეთი მძიმე მდგომარეობა გამოიწვია იმან, რომ არ არსებობდა სამოქალაქო ინტეგრაციის ფორმულირებული პოლიტიკა. სახეზე იყო სურათი სადაც ეთნიკური უმცირესობები სრულ იზოლაციაში იმყოფებოდნენ. ყოველივე ეს კი ძალიან ართულებდა სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებას. სწორედ, ამიტომ სააკაშვილის მთავრობის პოლიტიკის პრიორიტეტი გახდა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია. სააკაშვილი თავის გამოსვლებში, მუდმივად ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ყველა ეთნიკური ჯგუფი წარმოადგენდა ქართველი ერის ნაწილს, რომ საქართველო იყო ყველა მოქალაქის

სამშობლო, მიუხედავად მათი ეთნიკური წარმოშობისა: "საქართველო არის სახლი, როგორც ყველა ქართველისთვის, ასევე საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთათვის" (სააკაშვილი, 2004ბ) ის ასევე აღნიშნავდა, რომ ყველა ეთნიკური ჯგუფი წარმოადგენს საქართველოს სიმდიდრეს. ნიკლას ნილსონი და ჯოანა პოპჯანევსკი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ ეს იყო გზავნილი არამარტო ეთნიკური ჯგუფების მიმართ, არამედ მთელი საზოგადოებისთვის, რათა მომხდარიყო ცვლილება საზოგადოებაში ჩამოყალიბებული შეხედულებების (Nilsson, Popjanevski, 2009. 13).

ერის მშენებლობის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ყველა მოქალაქე ჩართული იყოს სახელმწიფო საქმიანობაში, რათა მოხდეს ერთიანობის განცდა და გაჩნდეს იდენტიფიკაციის გრძნობა სახელმწიფოსთან. ამის მიღწევის სურვილი სააკაშვილის გამოსვლებში ყოველთვის ჩანდა, მისი ეროვნული პოლიტიკის პრიორიტეტი იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია, ყველა მოქალაქისთვის თანაბარი პირობების შექმნა და მათი ჩართულობის გაზრდა სახელმწიფო საქმიანობაში: "მე გთხოვთ გავერთიანდეთ, ვინაიდან ზუსტად ვიცი რამდენი რამის გაკეთება შეგვიძლია როცა ერთად ვართ...გთხოვთ, მოგვაშველოთ თქვენი ძალა, დაგვიჭიროთ მხარი და თვითონ მიიღოთ მონაწილეობა წარმატების მისაღწევად გასაწევ ტიტანურ შრომაში" (სააკაშვილი, 2004ბ). ამ ყველაფრის მისაღწევად კი აუცილებელი იყო სახელმწიფო ენის ცოდნა, სწორედ ამ მიზნით დაიწყო ქართული ენის პოპულარიზაცია და გადაწყდა განათლების სისტემის რეფორმა.

4.2 სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია

საერთო ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესში, რომლისკენ მიმავალი გზაც ეროვნულ ინტეგრაციაზე გადის, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ენის ფაქტორს, ვინაიდან ენის პოპულარიზაცია და სწავლება ეთნიკურ უმცირესობებში ხელს უწყობს მათ მონაწილეობას დემოკრატიულ პროცესებში. ამ მხრივ კი ძალიან მძიმე სიტუაცია იყო, რადგან ეთნიკური უმცირესობების უდიდესმა ნაწილმა, შეიძლება ითქვას, რომ არ იცოდა ქართული ენა. შესაბამისად, ამ საკითხის მოგვარება დასაწყისიდანვე ეროვნული პროექტის

ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა გახდა: საინტერესოა სააკაშვილის მიმართვა აზერბაიჯანელი მოსახლეობის მიმართ, რომ მათ უნდა ისწავლონ ქართული ენა, რათა ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები და უფლებები (civil.ge, 2006).

ენის არცოდნის პრობლემის მოსაგვარებლად სააკაშვილის მთავრობამ შეიმუშავა კონკრეტული ენის პოლიტიკა, რომელიც გულისხმობდა ერთი მხრივ სახელმწიფო ენის პოპულარიზაციას, ხოლო მეორე მხრივ უმცირესობათა ენების დაცვას. ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ პოლიტიკაზე ნამდვილად იგრძნობოდა სამოქალაქო ნაციონალიზმის გავლენა, ვინაიდან არ იყო საფრთხის შემცველი ეთნიკური უმცირესობებისთვის, რადგან არ გულისხმობდა სრულ ლინგვისტურ ჰომოგენიზაციას. ამასთან, სააკაშვილის რიტორიკაც ამ საკითხის მიმართ იყო ძირითადად სამოქალაქო, სთავაზობდა ეთნიკურ უმცირესობებს სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესებას მათივე საკეთილდღეოდ, რათა ჩართულიყვნენ სახელმწიფო საქმიანობაში და ჰქონოდათ ისეთივე შესაძლებლობები როგორც სახელმწიფო ენის მცოდნეებს ჰქონდათ.

ამ თვალსაზრისით, სააკაშვილის მთავრობამ გადადგა რიგი ნაბიჯებისა, მაგალითად, ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატის დახმარებით, 2005 წელს სამცხე-ჯავახეთის, ხოლო 2006 წელს ქვემო ქართლში დაიწყო არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენის პედაგოგების გადამზადება. ამის პარალელურად დაიწყო სომხური და აზერბაიჯანული ენების მხარდაჭერის პროგრამები. მნიშვნელოვანი იყო შემდეგი პროგრამები: "იაკობ გოგებაშვილი" - სკოლების მატერიალური რეაბილიტაცია; "ირმის ნახტომი" - საჯარო სკოლების კომპიუტერიზაცია-ინტერნეტიზაცია, სწავლება; "გიორგი ნიკოლაძე" - სპორტული მოედნების რეაბილიტაცია. 2004-2005 და 2005 -2006 სასწავლო წლებში განხორციელდა პროექტი "მომავალი იწყება დღეს", რომლის ფარგლებშიც სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში გაიგზავნა პედაგოგთა ჯგუფი, რომელთა მიზანიც იყო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა, ქართული ენასა და ლიტერატურაში, ასევე ისტორიაში გადამზადება და ტრენინგების ჩატარება სწავლების ახალ მეთოდებთან დაკავშირებით. 2004-2005 სასწავლო წელს აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი სკოლების ყველა საფეხურის

ყველა მოსწავლემ უფასოდ მიიღო ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელოები - "თავთავი" (სახელმწიფო ანგარიში, 2007. 55).

ჩამოთვლილი რეფორმები, რა თქმა უნდა მისასაღმებელია, მაგრამ საინტერესოა, რამდენად პოზიტიური გავლენა იქონია ეროვნული ინტეგრაციის პროცესზე და რამდენად ეფექტური იყო აღნიშნული პროგრამები. ამასთან დაკავშირებით უამრავი კვლევა არსებობს, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული, ისე სახელმწიფოს მიერ მომზადებული ანგარიშები. მოცემულ კვლევებსა და ანგარიშებში გამოიკვეთა შემდეგი დასკვნები: პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელო ძირითადად, ერთენოვანი მიდგომის იყო, არ ყოფილა შედგენილი კლასების მიხედვით და ბევრ ხარვეზს მოიცავდა, ამასთანავე არ ეფუძნებოდა ოფიციალურ სასწავლო გეგმას და სწავლება სხვადასხვანაირად მიმდინარეობდა, რაც მომვლის პერსპექტივით, წარმოადგენდა სირთულეს (უითლი, 2009. 15-16; მუხუზლა, როშე. 2009. 15-16; სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, 2012. 38). რაც შეეხება მასწავლებელთა გადამზადების პროგრამას - "მომავალი იწყება დღეს", მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ცალსახად მისასაღმებელია, აქაც იყო პრობლემები, ვერ მოხდა ენის ცოდნისა და შემდგომ სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, ამასთანავე აღმოჩნდა, რომ 70-მდე მასწავლებელმა ვერ შეძლო გადამზადების კურსების გავლა ქართულის საერთოდ არცოდნის გამო. ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა თანხმდებოდა, რომ აუცილებელია გადამზადების პროგრამების ხანგრძლივობისა და ინტენსივობის გაზრდა (საგა, 2008. 76; მუხუზლა, როშე. 2009. 17; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2009. 7).

საკაპუვილის ენის პოლიტიკის მიზანი იყო ეთნიკურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება მათი სახელმწიფო საქმიანობაში ჩართვის მიზნით, რაც ხელს შეუწყობდა მათი ინტეგრაციის პროცესს. ამ თვალსაზრისით, განხორციელდა რიგი პროგრამები, რომლებიც მიმართული იყო ეთნიკურ უმცირესობებში ინტერესის გაღვივებით სახელმწიფო ენის შესწავლის მიმართ, მაგრამ მიუხედავად გაწეული

ძალისხმევისა, აღმოჩნდა, რომ განხორციელებული პროგრამები მოიცავდა გარკვეულ ხარვეზებს, რაც თავის მხრივ აისახებოდა ეროვნული ინტეგრაციის პროცესზე.

4.3 განათლების სისტემის რეფორმა

განათლებასთან დაკავშირებით საინტერესოა Raphael Utz-ის მოსაზრება, რომ ერის მშენებლობის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს განათლება, რადგან განათლებას შეუძლია იდენტიფიკაციის პროცესი დააჩქაროს, ვინაიდან ის მოქალაქეს აძლევს საშუალებას იპოვოს ადგილი საზოგადოებაში. შესაბამისად, მასწავლებლებს აქვთ გარკვეული პასუხისმგებლობა ერის შენების პროცესში (Utz, 2005. 632). ანუ განათლება არის ის, რაც აჩქარებს ინტეგრაციის პროცესს და ხელს უწყობს მოქალაქეების ჩართვას სახელმწიფო საქმიანობაში, სწორედ ამიტომ განათლების სისტემა გახდა სამოქალაქო ნაციონალიზმის ღირებულებებზე დაფუძნებული ერის მშენებლობის ინსტრუმენტი: მაგალითად, ზოგადი განათლების კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტში ვკითხულობთ, რომ "სკოლა ვალდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა." მე-7 პუნქტში კი ვკითხულობთ, „სკოლა თანასწორობის საფუძველზე იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება“ (სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, 2008. 27).

საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ, მეოთხე მუხლში, ვკითხულობთ, რომ უმცირესობებს აქვთ უფლება მიიღონ განათლება მათ მშობლიურ ენაზე, მაგრამ ამავდროულად ეს არ უნდა ზღუდავდეს სახელმწიფო ენის სწავლებას. აქვე აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულოა არაქართულენოვან სკოლებში. მე-14 მუხლში კი ვკითხულობთ, რომ 2010 წლიდან ქართული ლიტერატურა, ისტორია და გეოგრაფია უნდა ისწავლებოდეს ქართულ ენაზე (საგა, 2008. 72-73). ამ საკითხთან

დაკავშირებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2007 წლამდე არაქართულენოვან სკოლებს წიგნებით სომხეთი და აზერბაიჯანი ამარაგებდნენ, რაც რა თქმა უნდა, ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა მათი ინტეგრაციის გზაზე. ამ პრობლემის გამოსასწორებლად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადაწყვიტა, ქართული ლიტერატურის, ისტორიისა და გეოგრაფიის წიგნები ეთარგმნა სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. 2007-2008 სასწავლო წელს, სამინისტრომ ახალქალაქის სკოლებს 2500 სახელმძღვანელო დაურიგა, აქედან პირველ კლასელებს წიგნები უფასოდ ერგოთ (მუხუზლა, როშე, 2009. 27-28.). არსებობს მოსაზრება, რომ აღნიშნული წიგნები ნათარგმნია მხოლოდ ქართული პერსპექტივიდან (Nilsson, Popjavenski, 2009. 15) და სომეხი და აზერბაიჯანელი უმცირესობების ისტორია ნათარგმნ სახელმძღვანელოებში ნაკლებად ან უარყოფით კონტექსტშია გადმოცემული (მუხუზლა, როშე, 2009. 34).

განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია ერთიანი ეროვნული გამოცდები, რომელიც 2005 წლიდან ამოქმედდა და უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის თანაბარ შესაძლებლობებს უზრუნველყოფს. მაგრამ, თავდაპირველად ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები წინააღმდეგობას გადააწყდნენ, ვინაიდან ვისაც სურდა ქართულენოვან სექტორზე სწავლა, მათთვის სავალდებულო იყო ქართული ენის სრულყოფილად ცოდნა, ამის გამო ისინი ძირითადად საზღვრებს გარეთ სწავლობდნენ (საგა, 2008. 79). 2005 წელს მარნეულის რაიონის 1012 სკოლადამთავრებულიდან უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა 17, ხოლო ჯავახეთიდან 80 აბიტურიენტიდან მხოლოდ 2 სტუდენტი. აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაამარტივა მისაღები გამოცდების წესი და 2006 წელს აბიტურიენტებს ზოგადი უნარების ტესტის, ასევე უცხოურ ენასა და ყველა არჩევით საგანში გამოცდის რუსულ ენაზე ჩაბარების უფლება მიენიჭათ, ამასთანავე აბიტურიენტებმა უფრო მეტად გამარტივებული ტესტი ჩააბარეს ქართულ ენასა და ლიტერატურაში (მუხუზლა, როშე, 2009. 52-53). მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსების პროგრამის ამოქმედება, რომელშიც ჩართული იყო ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, გორის

სახელმწიფო უნივერსიტეტი და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროგრამის მიზანი იყო არაქართულენოვან აბიტურიენტთა მომზადება ეროვნული გამოცდებისთვის. აღსანიშნავია, რომ პროგრამა სრულიად ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ (სახელმწიფო ანგარიში, 2007. 55). შედეგად, 2006 წელს ქვემო ქართლიდან ოცდახუთმა აზერბაიჯანელმა აბიტურიენტმა დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები, ხოლო ჯავახეთიდან - ოცდათერთმეტმა აბიტურიენტმა. აღსანიშნავია, რომ 2007 წელს აღნიშნული მაჩვენებელი საგრძნობლად გაუარესდა და ქვემო ქართლიდან შვიდი, ხოლო ჯავახეთიდან სამი აბიტურიენტი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში. ამ პრობლემის გამოსასწორებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაუშვა ზოგადი უნარების ტესტის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ჩაბარება, რამაც შედარებით გააუმჯობესა არსებული სურათი (მუხუზლა, როშე. 2009. 54-57). თუმცა ზოგადი სურათი მაინც მძიმე იყო, სახალხო დამცველის 2009 წლის ანგარიშის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხი ძალიან დაბალი იყო, მოსწავლეთა დიდი ნაწილი ვერ ფლობდა ქართულ ენას, ასევე იკვეთებოდა ქართული ენის კვალიფიციური პედაგოგების ნაკლებობა (საქართველოს სახალხო დამცველი, 2009. 7), ეს კი რა თქმა უნდა გავლენას ახდენდა ეთნიკური უმცირესობების სურვილზე ან მოტივაციაზე ესწავლათ ქართული ენა, რაც შემდგომში აისახებოდა მათ შედეგებზე ერთიან ეროვნულ გამოცდებში.

რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობების ჩართვას სახელმწიფო საქმიანობაში, ამ მხრივაც ძირეული ცვლილებები არ მომხდარა და მათი წარმომადგენლობა 2004-2008 წლებში უმნიშვნელო იყო. მაგალითად, 2004-2008 წლის მოწვევის პარლამენტში, წარმოდგენილი იყო ხუთი სომეხი და სამი აზერბაიჯანელი დეპუტატი (BTKK, 2008. 15), სამინისტროებს რაც შეეხება, ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელობდა ეთნიკურად აზერბაიჯანელი მინისტრი - ისაკ ნოვრუზოვი, ხოლო ეკონომიკის მინისტრი იყო ეთნიკურად სომეხი - გენადი მურადიანი, არც ერთი ეთნიკური აზერბაიჯანელი ან სომეხი არ ყოფილა დასაქმებული პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციაში, რამდენიმე მათგანი იყო დასაქმებული სხვადასხვა სამინისტროებში (International Crisis Group, 2006. 9).

ადგილობრივი თვითმმართველობა - აღსანიშნავია, რომ აქაც რთული სიტუაცია იყო, მაგალითად, ქვემო ქართლში აზერბაიჯანელები თითქმის არ იყვნენ წარმოდგენილნი იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ისინი უმრავლესობას წარმოადგენდნენ. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთს, აქ თანამდებობები ისევ იმ გავლენიან სომხებს ეკავათ, რომლებიც შვეარდნაძის პერიოდშიც იყვნენ დასაქმებულები (უითლი, 2009. 19-20).

საინტერესოა BCG Group-ის ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოყენებული გამოკითხვა, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო საქმიანობაში ჩართვის სურვილს ეთნიკური უმცირესობების მხრიდან, გამოკითხვის შედეგად გამოჩნდა, რომ ქვემო ქართლში გამოკითხულთა 85,3 % არ გამოთქვამდა სურვილს ყოფილიყო ჩართული ადმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობაში; აქედან 39,5% თვლიდა რომ არ ჰქონდა შესაბამისი განათლება; 8% არ იცოდა სახელმწიფო ენა. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთს, გამოკითხულთა 87,2 % არ გამოთქვამდა სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობის სურვილს, აქედან 36% ამბობდა, რომ არ იყო მზად; 2.6% კი ენის ბარიერს ასახელებდა მიზეზად (BCG, 2008. 24). ანალოგიურ გამოკითხვას ვხვდებით საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ ჩატარებულ კვლევაში, სადაც საინტერესო ფაქტია ის, რომ ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა საკმაოდ დიდ ნაწილს (13% და 10.3%) არ სჯეროდა, რომ მათ ჩართულობას სახელმწიფო საქმიანობაში რაიმე შედეგი ექნებოდა (საგა, 2008. 50-51).

განხილული სტატიებისა და ანგარიშების საფუძველზე, შეიძლება ვთქვათ, რომ მიუხედავად გადადგმული ნაბიჯებისა, ეროვნულ პროექტს 2004 - 2008 წლების განმავლობაში ძირეული ცვლილებები არ მოჰყოლია. არ ყოფილა მაინცდამაინც დიდი ინტერესი ქართული ენის შესწავლის მიმართ, ამას მოწმობს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა და მათი შედეგები, ასევე მოყვანილი სტატისტიკური მაჩვენებელი ეთნიკური უმცირესობების მხრიდან სახელმწიფო საქმიანობაში ჩართვის მზადყოფნის შესახებ, ეს შესაძლოა იმანაც განაპირობა, რომ სახელმწიფოს მხრიდანაც არ ყოფილა დიდი ხელშეწყობა მათი დასაქმების კუთხით.

5. მიხეილ სააკაშვილის ეროვნული პროექტი, II ეტაპი-2009 - 2012 წლები

2009-2012 წლების პერიოდს, ვუწოდებთ ეროვნული პროექტის მეორე ეტაპს, რომელიც დაეფუძნა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციას, რომლის ძირითადი მიმართულებები შედგენილია სამოქალაქო ნაციონალიზმის პრინციპებისა და ღირებულებების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პერიოდი უფრო მეტად ხასიათდება ეროვნული ინტეგრაციის პროცესის წარმატებით.

ბერგლანდი და ბლაუველტი, სტატიაში *Redefining the Nation: From Ethnic Fragmentation to Civic Integration?*, სააკაშვილის მეორე ვადის პერიოდზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ ამ პერიოდშიც ეთნიკური უმცირესობები ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი იყო და ერთ-ერთ დიდ მიღწევას წარმოადგენდა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია (2009 წლის მაისი), რომელიც გახდა ეროვნული პროექტის მთავარი გეგმა (Berglund, Blauvelt, 2016. 34). გეგმა მოიცავდა ექვს ძირითად მიმართულებას, ესენია: განათლება და სახელმწიფო ენა, პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა, კანონის უზენაესობა, მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია, კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება (იხილეთ, დანართი 2).

5.1 განათლება და სახელმწიფო ენა

სახელმწიფო ენის სწავლება და განათლების ხელმისაწვდომობა კვლავ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად დარჩა, ვინაიდან ეთნიკურ უმცირესობებში ენის ცოდნის დონე მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა, რაც თავის მხრივ ნეგატიურ გავლენას ახდენდა მათი ინტეგრაციის პროცესზე.

ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ კვლავ დაიწყო პროგრამების განხორციელება. 2009 - 2013 წლებში ამოქმედდა პროგრამა

"ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა", რომლის მთავარი მიზანი სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლების და ცოდნის გაუმჯობესება იყო. აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამაში ჩართული იყო 1997 მოსწავლე, 715 მასწავლებელი და 566 ადგილობრივი თემის წარმომადგენელი. მნიშვნელოვანი იყო პროგრამა "ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის" რომლის ფარგლებშიც მივლინებული იქნა 340 მასწავლებელი, რომელთაც ჰქონდათ ბაკალავრის ხარისხი და რომელთა მიზანიც ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა იყო. 2011-2013 წლებში გამოიცა პირველი და მეცხრე დონეების შესაბამისი სახელმძღვანელოები, ასევე მომზადდა თემატური აუდიომასალები. რა თქმა უნდა, აღნიშნული ნაბიჯები მისასაღმებელია, თუმცა ისიც აღსანიშნავია რომ პრობლემები კვლავ არსებობდა. მაგალითად, პროგრამა "ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის", ქმნიდა გარკვეულ პრობლემებს, რადგან მივლინებული ქართული ენის მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი თავადვე ვერ ფლობდა სახელმწიფო ენას სრულყოფილად, კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა მათი კვალიფიციურობის დონეც, ამასთანავე პროგრამა იყო მაღალბიუჯეტისანი, ხოლო ეფექტი მინიმალური, ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოები შედგენილი იყო არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებისთვის, არ ჩანდა მათი კულტურული კონტექსტი, ასევე სახელმძღვანელოებში მწირი ინფორმაციაა მოცემული საქართველოში არსებულ ეთნიკურ უმცირესობებზე (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2014. 39 - 42). თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ინტერესი აშკარად იზრდებოდა და 2010 წელს ქართული ენის შემსწავლელ პროგრამებში ჩართული იყო 6000-მდე მოსწავლე და 500 მასწავლებელი, 2011 წელს 4034 მოსწავლე და 558 მასწავლებელი (სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, 2011. 33, 126), 2012 წელს კი 4106 მოსწავლე (რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2013. 13). 2010 და 2011 წლებს შორის კლება შესაძლოა გამოიწვიოს იმან, რომ სკოლის მოსწავლეთა გარკვეულმა ნაწილმა სკოლა დაამთავრა, თუმცა ზოგადი სურათი გვიჩვენებს იმას, რომ ინტერესი ნამდვილად გაზრდილია.

რაც შეეხება განათლების სფეროს, აქაც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. მნიშვნელოვანი იყო მულტილინგვური განათლების მეთოდის დანერგვა, რაც გულისხმობდა სახელმწიფო ენის ათვისების პარალელურად მშობლიური ენის სათანადო შესწავლასა და შენარჩუნებას. 2009 - 2010 წლებში არაქართულენოვანი სკოლების 6025 მეცხრეკლასელს დაურიგდა საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენაზე ნათარგმნი წიგნები (სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების ცენტრი, 2010. 106). აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა დადებითად იყო განწყობილი ამ პროგრამის მიმართ (სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობათა საბჭო, 2012. 27), მაგრამ აქაც იკვეთება პრობლემები სწავლებისა და წიგნების თარგმნის ხარისხთან დაკავშირებით, მაგალითად, აზერბაიჯანულად ნათარგმნი მე-8 კლასის ისტორია-გეოგრაფიის სახელმძღვანელოში, ეწერა, რომ "ორმოცი წლის მუჰამედმა მკითხაობა დაიწყო"; " ისლამის მიხედვით, თუ ადამიანს სურს მოხვდეს სამოთხეში, იგი მტრის ხელიდან უნდა მოკვდეს" (სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭო, 2010. 106; 2013. 42 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2009. 195). ასევე მთავარ პრობლემად სახელდება ის რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოები, ვერ ასახავს ქვეყანაში არსებულ ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებას და არ არის თავისუფალი სტერეოტიპული ტენდენციებისაგან, ამასთან სახელმძღვანელოებში ნათარგმნია მასალის 70%, ხოლო 30% სახელმწიფო ენაზეა დატოვებული, რის გამოც სახელმწიფო ენაზე არსებული მასალა დაუძლეველია მოსწავლეებისთვის ქართული ენის სათანადოდ არცოდნის გამო (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2014. 28).

უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ გათვალისწინებული იქნა ის ფაქტი, რომ ეთნიკური უმცირესობების მხრიდან დაბალი იყო აქტივობა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, ასევე ძალიან დაბალი იყო მათი შედეგები. შედეგად კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ეროვნულ უმცირესობებს ზოგადი უნარების ჩაბარების უფლება მიეცათ მშობლიურ ენებზე, შემდგომ კი უნდა ესწავლათ ქართული ენის

ერთწლიანი პროგრამა, რის დაძლევის შემდეგაც ჰქონდათ სწავლის გაგრძელების უფლება მათ მიერ არჩეულ ფაკულტეტებზე (სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, 2010. 110) ამასთან, დაინერგა კვოტირების სისტემა, განისაზღვრა იმ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა, რომლებიც გაივლიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2014. 43). ყოველივე ამან დადებითი გავლენა იქონია და 2010 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 550-მდე აბიტურიენტი დარეგისტრირდა, აქედან კი დაახლოებით სამასი მათგანი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებლებში (საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2010. 324), 2011 წელს ჩაირიცხა 431 აბიტურიენტი, 2012 წელს კი - 584 (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2014. 45).

განაალიზებული ანგარიშებისა და კვლევების საფუძველზე ვფიქრობთ, რომ ეროვნული პროექტის მეორე ეტაპზე, 2009 - 2012 წლებში განათლებისა და სახელმწიფო ენის მიმართულება უფრო მეტი პროგრესით ხასიათდება, პროგრამები და რეფორმები უფრო მეტად დაიხვეწა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში. გაიზარდა სახელმწიფო ენის შესწავლის მსურველთა რაოდენობა, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ეთნიკური უმცირესობების მხრიდან მოხდა იმის გააზრება, რომ აუცილებელია სახელმწიფო ენის ცოდნა მათივე საკეთილდღეოდ, რათა მათ ჰქონდეთ თანაბარი უფლებები ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობასთან ერთად.

მნიშვნელოვანი იყო ასევე კვოტირების სისტემის დანერგვა, რამაც ხელი შეუწყო ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას, მათი მხრიდან ინტერესის ზრდა იმის მანიშნებელია, რომ ისინი თავიანთ მომავალს საქართველოს უკავშირებენ. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ არსებობდა პრობლემები სახელმწიფო ენის სწავლების, მულტილინგვისტური სწავლებისა და სახელმძღვანელოების თარგმნის ხარისხთან დაკავშირებით, რაც შეიძლება გამოწვეული იყო იმით, რომ მთავრობა სწრაფ შედეგებზე იყო ორიენტირებული.

5.2 პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ერის მშენებლობის პროცესში არის მოქალაქეების ჩართულობის ხელშეწყობა სახელმწიფო საქმიანობაში. სააკაშვილის ეროვნული პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ეს იყო, ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის გაზრდა. როგორც უკვე ვახსენეთ, 2004-2008 წლის პერიოდში ამ კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, 2009 -2012 წლებში კი აღნიშნული მიმართულება შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის სამოქმედო გეგმის ნაწილი გახდა, რომლის ფარგლებშიც უნდა მომხდარიყო ეროვნული უმცირესობების თანასწორი საარჩევნო უფლების უზრუნველყოფა; გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის გაუმჯობესება; ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის პოპულარიზაცია (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე).

სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობათა საბჭოს 2010 - 2011 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ აღნიშნული მიზნები შესრულებულია, თუმცა მიუხედავად ამისა, ძალიან დაბალია მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ხარისხი და გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ასევე უმნიშვნელოა მათი მონაწილეობა აღმასრულებელ ხელისუფლებაში, პოლიტიკურ პარტიებსა თუ სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობაში (სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, 2011. 14). ამას მოწმობს ის რომ 2008 წლის მოწვევის პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების 6 წარმომადგენელი იყო. რაც შეეხება ადგილობრივ თვითმმართველობას, თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ქობულეთში ეთნიკური უმცირესობები საერთოდ არ არიან წარმოდგენილნი, სომხები მათი პროცენტული რაოდენობის გათვალისწინებით ადეკვატური რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი ახალქალაქის, ნინოწმინდის, ახალციხის, წალკის და მარნეულის საკრებულოებში, ხოლო აზერბაიჯანელები გარდაბნის და მარნეულის

მუნიციპალიტეტებში (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2014. 65-66).

განხილული ანგარიშების საფუძველზე, ვფიქრობთ რომ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა სწორედ ეს არის - ეთნიკურ უმცირესობათა მინიმალური პოლიტიკური და სამოქალაქო აქტივობა, ისინი მინიმალურად არიან ჩართულნი პარტიულ საქმიანობაში, რაც ჩანს მათი წარმომადგენლობით პარლამენტსა და ადგილობრივ თვითმმართველობებში. ამის მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ის, რომ მათ კვლავ არ იციან სახელმწიფო ენა იმ დონეზე, რომ აქტიურად იყვნენ ჩართულნი სახელმწიფო საქმიანობაში, შესაბამისად, ეს განაპირობებს მათ ნაკლებ მოტივაციას ჩაერთონ პოლიტიკურ პროცესებში, რაც რა თქმა უნდა უარყოფითად აისახება ეროვნული ინტეგრაციის პროცესზე.

5.3 კანონის უზენაესობა

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო კანონის უზენაესობა, რომელიც აერთიანებდა შემდეგ მიმართულებებს: საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან; ეროვნული უმცირესობების მიერ მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; დისკრიმინაციული მოპყრობისგან ეროვნული უმცირესობების ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფა; საჯარო მოსამსახურეთა ცნობიერების ამაღლება ეროვნული უმცირესობების უფლებებსა და ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან მიმართებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე).

აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი მიმართულებებით ბევრი ნაბიჯი გადაიდგა, მნიშვნელოვანი იყო საკანონმდებლო აქტების სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე თარგმნა, საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება სამართლებრივი განათლების, სამოქალაქო და სოციალური ინტეგრაციის განვითარების მიზნით; დოკუმენტების არმქონე პირთა გამოვლენა და სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა; იუსტიციის სახლების გახსნა უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, პოლიციაში ეთნიკური უმცირესობების დასაქმება; მიუხედავად გადადგმული ნაბიჯებისა, აღსანიშნავია, რომ ამ კუთხითაც

არსებობს პრობლემები, მაგალითად, სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში ვკითხულობთ, რომ საკმაოდ მცირეა მართლმსაჯულების სისტემაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილ ღონისძიებათა რაოდენობა, 2010 წელს საერთოდ არ მომხდარა რაიმე სახის ღონისძიების დაგეგმვა, ხოლო 2011-2012 წლებში ჩანიშნული ღონისძიებების რაოდენობა საკმაოდ მწირია. პრობლემებია ტოლერანტობის კუთხითაც, საზოგადოებაში კვლავ არსებობს უმრავლესობისა და უმცირესობების ჯგუფებს შორის ურთიერთგაუცხოება და სტერეოტიპებით მოცული განწყობა (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2014. 11-14).

5.4 მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

აღნიშნული პუნქტი აერთიანებდა შემდეგ მიმართულებებს: ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ეროვნული მაუწყებლობის ხელმისაწვდომობის, ეროვნული უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სამაუწყებლო პროგრამებში ეროვნული უმცირესობების გაშუქებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფა; ეროვნული უმცირესობების ენებზე ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის ხელშეწყობა; მედიაში ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის დამკვიდრების ხელშეწყობა (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე).

ინტეგრაციის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებისთვის მედიისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების მიწოდება მათთვის გასაგებ ენაზე. ამ კუთხით მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებრივ მაუწყებლის ტელე და რადიო არხებზე გასული სპეციალური გადაცემები, რაც გულისხმობდა ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომზადებულ სატელევიზიო პროგრამებს, რომელთა ქრონომეტრაჟი 26 წუთიანი იყო და მოიცავდა როგორც ახალი ამბების ნაწილს, ისე სოციალურ-საგანმანათლებლო რუბრიკებს. ძალიან მნიშვნელოვანი გადაცემა იყო "ჩვენი ეზო", რომელიც აშუქებდა ეთნიკური უმცირესობების რელიგიასთან, კულტურასთან დაკავშირებულ თემებს, ასევე გადმოცემდა მათი საზოგადო მოღვაწეების წვლილს საქართველოს განვითარებაში. ეს იყო ასევე ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილი

მთელი მოსახლეობისთვის, რადგან მათ მიეცათ საშუალება გაცნობოდნენ ეთნიკური უმცირესობების კულტურას.

აღსანიშნავია, რომ ინტერესი ეთნიკური უმცირესობების მხრიდან გადაცემების მიმართ მაინცდამაინც დიდი არ ყოფილა, რის მიზეზადაც მოუხერხებელი დრო დასახელდა, ასევე გამოიკვეთა ის, რომ სიახლეები ნაკლებად მოიცავდა ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ თემებს, გარდა გადაცემისა "ჩვენი ეზო". ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა იყო ისიც, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო სიგნალი სრულად ვერ ფარავდა ქვემო ქართლსა და სამცხე - ჯავახეთს. აღნიშნულ პრობლემებს ისიც ამწვავებდა, რომ მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებელი იყო ჩართული ამ პროცესებში და სხვა ტელევიზიები დაინტერესებას არ გამოხატავდნენ. რაც შეეხება ბეჭდურ მედიას, სახელმწიფო აფინანსებდა ყოველკვირეულ სომხურენოვან გაზეთს - "ვრასტან" და აზერბაიჯანულენოვან გაზეთს "გურჯისტან". ამავდროულად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში მეზობელი ქვეყნიდანაც შემოდოდა გაზეთები და ასევე იბეჭდებოდა სხვადასხვა გაზეთები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. აღსანიშნავია, რომ ეს გაზეთები უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ მოსახლეობაში (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, 2014. 51-57; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2010. 329).

მედიას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ინტეგრაციის პროცესში, ვინაიდან შეუძლია დააჩქაროს ინტეგრაციის პროცესები და პირიქით, ხელისშემშლელ ფაქტორად მოგვევლინოს. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყოველთვის წარმოადგენდა პრობლემას 2003 - 2012 წლებში: "უმცირესობების წარმომადგენლებზე ტელემედია საერთოდ არ საუბრობს", "ეთნიკური უმცირესობების პრობლემები თანმიმდევრულად არ შუქდება" (სოლიდარობა, 6(39). 61).

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული პრობლემის მიზეზი იყო ის, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის გარდა, ინტერესი სხვა სატელევიზიო არხების მხრიდან მაინცდამაინც დიდი

არ ყოფილა, ამასთან კანონიც არ ითვალისწინებდა სხვა მედიის საშუალებების ჩართულობის აუცილებლობას.

5.5 სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია

საქართველოში ეროვნული ინტეგრაციის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, რაც წარმოადგენდა ეთნიკური უმცირესობების იზოლირების ერთ - ერთ მიზეზს. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი იყო გზის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც 2009 წელს მიმდინარეობდა და ითვალისწინებდა 221კმ გზის რეაბილიტაციას ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში (სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, 2010. 119). მთავრობა ქვეყნის ყველა რეგიონში ატარებდა ღონისძიებებს ეთნიკური უმცირესობებისთვის განკუთვნილი სოციალური დახმარებისა და შემწეობების გაცემის საკითხის უზრუნველსაყოფად. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაგეგმილი თუ განხორციელებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამები ერთნაირად მოიცავდა ქვეყნის ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მათი ეთნიკური, სოციალური თუ რელიგიური წარმომავლობისა. პრობლემა რაც აქ არსებობდა იყო ენის ბარიერი, რაც ხელს უშლიდა ეთნიკური უმცირესობების გარკვეულ ნაწილს, განსაკუთრებით ხანდაზმულებს, დროულად მიეღოთ ინფორმაცია აღნიშნული პროგრამების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამის გამოსასწორებლად დაიგეგმა საინფორმაციო შეხვედრები მათ მშობლიურ ენაზე. ძალიან მნიშვნელოვანი იყო აგრობიზნესის განვითარების პროექტი, რომელიც ორ კომპონენტს მოიცავდა: საწარმოთა ხელშეწყობასა და უწყვეტი საწარმოო ჯაჭვის შექმნას. პროექტების მიზანი იყო არსებული წვრილი ფერმერული მეურნეობების გარდაქმნა მომგებიან აგრობიზნესებად, რაც ხელს შეუწყობდა რეგიონებში აგრობიზნესების განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. თუმცა აქაც იკვეთებოდა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა, რადგან მოსახლეობა სრულად არ იყო ინფორმირებული აღნიშნული პროგრამის შესახებ (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, 2014. 72-75).

ვფიქრობთ, რომ მოცემული მიმართულების ფარგლებში გადადგმული ნაბიჯები ძალიან დიდი მნიშვნელობის იყო, ვინაიდან საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დაბრკოლებას, რადგან თითქმის შეუძლებელი იყო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების დაკავშირება ცენტრთან გზების ძალიან მძიმე მდგომარეობის გამო. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჯანდაცვის სისტემის საყოველთაოობა, რომელიც თანაბრად მოიცავდა ყველას, მიუხედავად ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა განსხვავებებისა.

5.6 კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება

ეროვნული ინტეგრაციის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია ეთნიკურმა უმცირესობებმა იგრძნონ, რომ მათ კულტურასა და თვითმყოფადობას საფრთხე არ ემუქრება. ამ მხრივ სააკაშვილის ეროვნული პროექტი ყოველთვის მიმართული იყო მათი კულტურისა და თვითმყოფადობის დაცვისკენ და ამავდროულად ეთნიკური უმცირესობების ჩართვისკენ საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში, ვინაიდან სწორედ ეს განსაზღვრავს ეროვნული ინტეგრაციის წარმატების ხარისხს. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის მიმართულებებში ამ პუნქტის ასახვაც იმის მანიშნებელია, რომ ეს პროცესი ძალიან დიდი მნიშვნელობისაა.

2009 წლიდან ხორციელდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ეროვნული უმცირესობების კულტურის მხარდამჭერი პროგრამა, რომლის ძირითადი მიზნებია ეროვნული უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის დაცვა, განვითარების და პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ეთნიკური უმცირესობების კულტურათა დიალოგის ხელშეწყობა, მათი კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა და მათი წარმოჩენა ქვეყნის კულტურულ ღირებულებებად. პროგრამის ფარგლებში მრავალი ნაბიჯი გადაიდგა, დაფინანსდა კულტურული ცენტრები, მუზეუმები, თეატრები. მოხდა სხვადასხვა კულტურული ძეგლების რეაბილიტაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება კულტურული ნაგებობებისთვის, აღსანიშნავია, რომ ახალციხის, ასპინძის, ადიგენის

მუნიციპალიტეტებში მეჩეთებს, რაბათის კომპლექსს, მინარეთს, მედრესეს, აბანოს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, ხოლო 2009 წელს აღირიცხა 50-მდე სომხური ეკლესია, 10 მეჩეთი და 5 სინაგოგა (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, 2014. 92-95). ასევე ძალიან მნიშვნელოვანი და სიმბოლური ნაბიჯი იყო ნოვრუზ ბაირამის ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადება 2010 წელს (saakashviliarchive, 2010) და ამით იმის ხაზგასმა, რომ ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით დაყოფა უკვე წარსულის ნაწილი იყო.

ეროვნული პროექტის მთავარი მიზანი იყო ერის გაერთიანება და სამოქალაქო ეროვნული იდენტობის გავრცელება სამოქალაქო ნაციონალიზმის ღირებულებებზე დაყრდნობით. ამ ყველაფრის მისაღწევად 2004-2008 წლებში პოლიტიკის პრიორიტეტად სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია და განათლება დასახელდა, ხოლო 2009 - 2012 წლებში ეროვნული პროექტის საფუძველი გახდა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და მის ფარგლებში დასახული გეგმის განხორციელება, რომლის საბოლოო მიზანიც ეროვნული ინტეგრაცია უნდა ყოფილიყო.

გადაიდგა ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომლებიც ვფიქრობთ, რომ ნამდვილად უწყობდა ხელს სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარებასა და განმტკიცებას, ვინაიდან შემუშავებული იყო კონკრეტული პოლიტიკა რათა მომხდარიყო ეროვნული ინტეგრაცია, შექმნილიყო სამოქალაქო საზოგადოება და ეთნიკურობა უკანა პლანზე გადასულიყო. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური ელიტების რიტორიკაში მუდმივად ხაზგასმული იყო ის, რომ თანასწორობა არის ქვეყნის განვითარების ამოსავალი წერტილი, რომ მულტიეთნიკურობა წარმოადგენს ქვეყნის სიმდიდრეს და საქართველო ეკუთვნის ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა თუ რელიგიური მიკუთვნებულობის. ძალიან მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ პოლიტიკური ელიტები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საზოგადოებაში შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის დამკვიდრების პროცესში. მაგალითად, პრეზიდენტი თავის გამოსვლებში მუდმივად ხაზს უსვამდა იმას, რომ მუსლიმები და ქრისტიანები საქართველოში უძველესი დროიდან

მშვიდობიანად თანაარსებობდნენ ერთად, მნიშვნელოვანი იყო მისი სიმბოლური ნაბიჯები, იგივე ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე მისაღმება, მათი რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა, მაგალითად შობის დღესასწაულის მილოცვა სომხებისთვის: „მინდა მოგილოცოთ ეს დღე თქვენ, საქართველოს მოქალაქეებს. სომეხი და ქართველი ხალხის მეგობრობამ საუკუნეებს გაუძლო და მრავალი ისტორიული ქართველი გამოიარა, დღეს კი თქვენ აქტიურად მონაწილეობთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობაში“ (სააკაშვილი, 2011ბ). სააკაშვილი ასევე ხშირად მიმართავდა ეთნიკურ უმცირესობებს ორ ენაზე, მაგალითად ნოვრუზ-ბაირამის აღნიშვნის დროს, მან მარნეულის მოსახლეობას თავდაპირველად აზერბაიჯანულად მიმართა, შემდეგ კი ქართულად გააგრძელა საუბარი: „თქვენთან ერთად ზეიმობს მთელი საქართველო, რადგან თქვენ ხართ ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ყველანი ერთად ვიბრძოლებთ უკეთესი მომავლისთვის“ (სააკაშვილი, 2010ა).

სამოქალაქო ნაციონალიზმის განმტკიცებისა და განვითარების მაგალითია ისიც, რომ ეროვნული ინტეგრაციის პოლიტიკა დაეყრდნო სახელმწიფო ენის პოპულარიზაციას და ამის პარალელურად უმცირესობათა ენების დაცვას. საერთო ენა იყო ის რასაც უნდა მოეხდინა უმცირესობების ჩართვა ქვეყნის ცხოვრებაში. და ბოლოს შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია შეიძლება ჩაითვალოს სააკაშვილის ეროვნული პროექტის უდიდეს მიღწევად, რომლის მიმართულებები უდიდესი მნიშვნელობის იყო ქვეყანაში სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარების კუთხით.

ვფიქრობთ, რომ კვლევის პროცესში გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემა, რაც ხელს უშლიდა ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის პროცესს, ეს იყო რეფორმების ხარისხი, რომელიც ეროვნული პროექტის ყველა ეტაპს თან სდევდა, შესაბამისად უარყოფითად აისახებოდა ინტეგრაციის პროცესზე.

რაც შეეხება საერთო ეროვნულ იდენტობას, ამ კუთხით სააკაშვილის პოლიტიკის მთავარი მიზანი იყო ისეთი ეროვნული იდენტობის ფორმირება, რომელიც საზოგადოებაში გაავრცელებდა და დაამკვიდრებდა ისეთ სამოქალაქო ელემენტებს, როგორცაა

თანასწორობა, შემწყნარებლობა, თავისუფლება. ეროვნული იდენტობის ფორმირების მიმართულებით ეროვნული პროექტის მთავარი მიზანი იყო მოქალაქეობაზე დამყარებული იდენტობის ჩამოყალიბება, რომლის განსმსაზღვრელიც იქნებოდა საერთო ენა. მისი რიტორიკაც ამ მიმართულებით, ყოველთვის ეყრდნობოდა იმის ხაზგასმას, რომ ეთნიკური უმცირესობები და ქართველები მუდამ მშვიდობიანად თანაარსებობდნენ, რომ ისინი ქვეყნის სიმდიდრეს წარმოადგენდნენ: „ბევრმა აზერბაიჯანელმა ახალგაზრდამ გაითავისა, რომ ეს მათი სამშობლო, მათი ენაა, მშობლიურ ენასთან ერთად და მათი წარმატება ამ ქვეყნის წარმატებასაც ნიშნავს“ (სააკაშვილი, 2010ა), საქართველოში მცხოვრები სომხები საქართველოს ეროვნული სხეულის, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის განვითარების განუყოფელი ნაწილი არიან. არ უნდა დავივიწყოთ ის წვლილი, რომელიც სომხებმა შეიტანეს საქართველოს არა მხოლოდ ეკონომიკურ, კულტურულ და სულიერ განვითარებაში, არამედ ქვეყნის გადარჩენის საქმეში“ (სააკაშვილი, 2011ბ).

ქართული ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელ მარკერად კვლავ რჩება "ქართველობა", კარგი ქართველობა კი გამოკითხულთა 65%-ის მიხედვით მართლმადიდებლობას უკავშირდება. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ წინა პლანზე წამოვიდა ისეთი სამოქალაქო-პოლიტიკური იდენტობის მარკერებიც, როგორცაა: დაბადებული იყო საქართველოში, გქონდეს საქართველოს მოქალაქეობა და ცხოვრების უდიდესი ნაწილი გატარებული გქონდეს საქართველოში, იცოდე ქართული ენა (ბოგიშვილი, გავაშელიშვილი, გუგუშვილი, ოსეფაშვილი, 2016. 70-82). საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ დღეს ქართული ეროვნული იდენტობა ხასიათდება როგორც სამოქალაქო იდენტობის, ასევე ეთნიკური იდენტობის მარკერებით, და მთავარი მიღწევა ამ პროცესში არის ის, რომ არ ხდება ამ ყველაფრის პოლიტიზირება, არ იწვევს კონფლიქტსა და დაპირისპირებას და არ არის დემოკრატიული განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორი იმ დოზით, რაც წარსულში არსებობდა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ 2003 - 2012 წლების პერიოდში ნამდვილად ჩაეყარა საფუძველი ეროვნული იდენტობის ფორმირებას სამოქალაქო ნაციონალიზმის ფარგლებში.

მიუხედავად გარკვეული წარმატებისა, შეიძლება ითქვას, რომ პრობლემა უფრო ღრმა და მძიმე აღმოჩნდა ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა. ამას ცხადყოფს ის, რომ გატარებული რეფორმების მიუხედავად, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესი ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა და შეიძლება ითქვას, რომ დღესაც დღის წესრიგში დგას ეს საკითხი. ვფიქრობთ, რომ ამის მიზეზი გარკვეულწილად არის სამოქალაქო ცნობიერების ნაკლებობა, განათლების დაბალი დონე და ის ისტორიული მემკვიდრეობა რაც ქვეყანას გააჩნია. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ იმ პრობლემების დიდი ნაწილი რაც 2003 წლამდე არსებობდა გარკვეულწილად დაძლეულ იქნა.

6. დასკვნა

სააკაშვილის მთავრობის მიზანი ახალი დემოკრატიული, სამოქალაქო ნაციონალიზმის ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფოსა და ერის მშენებლობა იყო. პროცესში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება კი ეროვნული ინტეგრაცია გახდა. ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბება - ეს იყო სააკაშვილის მთავრობის მთავარი გამოწვევა, რომლის მიღწევისათვის მთავრობამ შეიმუშავა კონკრეტული გეგმა, რომელსაც ვუწოდებთ ეროვნული პროექტი.

სააკაშვილის მთავრობის ეროვნული პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო რომ მომხდარიყო ეროვნული ინტეგრაცია, ეთნიკურობის უკანა პლანზე გადასვლა და ისეთი საზოგადოების შექმნა, სადაც ერისადმი მიკუთვნებულობა განისაზღვრებოდა მოქალაქეობით. ყოველივე აღნიშნულის მისაღწევად აუცილებელი იყო ეთნიკური უმცირესობებისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომ მათ თავი ეგრძნოთ საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად და ჩართულიყვნენ სახელმწიფო საქმიანობაში.

ეროვნული ინტეგრაციის მისაღწევად გამოიკვეთა პოლიტიკის რამდენიმე მთავარი ინსტრუმენტი: 1) სამოქალაქო ეროვნული იდენტობის ფორმირება, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა სამოქალაქო ნაციონალიზმის ელემენტებზე, როგორცაა თანასწორობა, თავისუფლება, ერთიანობა და რომელიც საერთო იქნებოდა ყველა მოქალაქისთვის მიუხედავად რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა სახის განსხვავებებისა.

2) სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, რომლის ფარგლებშიც გატარდა არაერთი რეფორმა და გადაიდგა არაერთი ნაბიჯი. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ეს პროცესი არ იყო დისკრიმინაციული ხასიათის და ქართული ენის განმტკიცების პარალელურად, მიმდინარეობდა ეროვნულ უმცირესობათა ენების დაცვა.

მესამე ინსტრუმენტი იყო განათლების სისტემა, რომლის რეფორმირების ფარგლებშიც არაერთი ნაბიჯი გადაიდგა ეროვნული ინტეგრაციის გზაზე და რომელმაც დააჩქარა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესი. და ბოლო ინსტრუმენტი ეს იყო

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია, რომელიც ვფიქრობთ, რომ სრულიად ეყრდნობოდა სამოქალაქო ნაციონალიზმის პრინციპებსა და ღირებულებებს და თავისი არსით ძალიან მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენდა, ვინაიდან მოიცავდა სამოქმედო გეგმას, რომლის განხორციელებაც 2009 წლიდან დაიწყო. ეროვნული კონცეფციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში უმნიშვნელოვანესი რეფორმები გატარდა, რამაც ხელი შეუწყო ეროვნული ინტეგრაციის პროცესს.

სწორედ აღნიშნული პოლიტიკის ინსტრუმენტების გაანალიზების საფუძველზე მივედით დასკვნამდე, რომ 2004 - 2008 წლების პერიოდში, ეროვნული ინტეგრაციის შეფასების კუთხით, ეროვნულ პროექტს მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მოჰყოლია. დაბალი იყო ენის ცოდნის დონე ეთნიკურ უმცირესობებში, ასევე დაბალი იყო ინტერესი მათი მხრიდან ჩართულობის სახელმწიფო საქმიანობაში და ისინი ვერ აღიქვამდნენ თავიანთ როლსა და მნიშვნელობას სახელმწიფოს განვითარების პროცესში. რაც შეეხება 2009-2012 წლების პერიოდს, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული პერიოდი უფრო მეტად ხასიათდება წარმატებით, ვინაიდან პოლიტიკა მოექცა გარკვეულ ჩარჩოში, შემუშავდა ძალიან კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომლის ეტაპობრივად განხორციელების შემდეგ გაიზარდა ინტერესი სახელმწიფო ენის შესწავლის მიმართ, გაიზარდა საქართველოში განათლების მიღების მსურველთა რაოდენობა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ეთნიკურ უმცირესობებში იზრდება ნდობის ფაქტორი და იმის აღქმა რომ მათაც ისეთივე უფლებები და მოვალეობები აქვთ სახელმწიფოს წინაშე როგორც ყველა სხვა დანარჩენს, მაგალითად, ერთ-ერთი კვლევის ფარგლებში, რომელიც სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ჩატარდა, გამოკითხულთა 96% აღნიშნა, რომ თავს საქართველოსთან აიგივებს (tolerantoba.ge, 2012).

კვლევის პროცესში, სხვადასხვა ანგარიშებისა და კვლევების გაცნობის საფუძველზე, გამოჩნდა რომ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესს 2003 - 2012 წლების პერიოდში მუდმივად თან სდევდა სხვადასხვა პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული იყო გატარებული რეფორმებისა და პროგრამების ხარისხზე. ამასთან აშკარა გახდა, რომ მიუხედავად გადადგმული ნაბიჯებისა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესი

ძალიან ნელი ტემპით და ძნელად მიმდინარეობს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ ყველაზე დიდი პრობლემის წინააღმდეგ პირველი ფორმულირებული პოლიტიკა სწორედ 2003 წლიდან შემუშავდა და შეიქმნა საფუძველი მომავალი განვითარებისთვის. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ეროვნულმა პროექტმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარებაზე, ვინაიდან მიმართული იყო საზოგადოებაში ტოლერანტობისა და თანასწორობის მიღწევისკენ, საზოგადოების გაერთიანებისკენ და ისეთი ცნობიერების შექმნისკენ, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა მოქალაქეობასა და დემოკრატიულ ღირებულებებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

წიგნები და სტატიები

1. დავითაშვილი, ზ. (2003). *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია*. თბილისი: მეცნიერება.
2. ნოდია, გ. (2003). საქართველოს პოლიეთნიკურობა: ფაქტი, მასთან მიმართება და მოსაზრებები პოლიტიკური სტრატეგიისათვის. In გ. ნოდია, *ერთი საზოგადოება, მრავალი ეთნოსი : ეთნიკური მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში*. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი. Retrieved from <http://www.nplg.gov.ge>
ნანახია: 5 ივნისი (2017)
3. ნოდია, გ. (2007). ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი. In გ. ზედანია, *ქართველი ერის დაბადება : ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები*. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4. სმითი, ე. დ. (2008). *ნაციონალური იდენტობა*. თბილისი: ლოგოს პრესი.
5. ფრანკპორტ-ნაჩმიასი, ჩ., & ნაჩმიასი, დ. (2009). მონაცემთა შეგროვება. In *კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. Retrieved from <http://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/kvlevismetodebisociologiumecnierebebshi.pdf> *ნანახია: 3 ივლისი (2017)*
6. ჩხაიძე, ი. (2016). *ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ: ნაციონალური პროექტის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში*. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
7. ცაგარეიშვილი, დ. (2004). სახელისუფლებო ინსტიტუტების კრიზისი საქართველოში, როგორც „ვარდების რევოლუციის“ წინაპირობა. In *წელიწდეული 2004 - ვარდების რევოლუცია*. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

8. ჯონსი, ს. (2012). *საქართველო - პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი
9. Amirejibi-Mullen, R. (2012). *Language Policy and National Identity in Georgia*. London: Queen Mary University of London. Retrieved from <https://qmro.qmul.ac.uk/jspui/handle/123456789/2679> ნანახია: 3 ივლისი (2017)
10. Barrington, L.W. (2006). *After Independence: Making and Protecting the Nation in Postcolonial and Postcommunist States*. Michigan: The University of Michigan Press
11. Berglund, C., & Blauvelt, T. (2016). Redefining the Nation: From Ethnic Fragmentation to Civic Integration. In G. Nodia, *25 Years of Independent Georgia. Achievements and Unfinished Projects*. Tbilisi: Ilia State U Press, Konrad-Adenauer-Stiftung Regional Program South Caucasus. Retrieved from <http://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2016/07/Georgia-2-5.pdf> ნანახია: 3 ივლისი (2017)
12. Bloom, W. (1999). *Personal identity, national identity, and international relations*. New York: Cambridge U Press.
13. Bogdandy, A. V., Utz, R., Hanschmann, F., & Häußler, S. (2005). State-Building, Nation-Building, and Constitutional Politics in Post-Conflict Situations: Conceptual Clarifications and an Appraisal of Different Approaches. *Max Planck Yearbook of United Nations Law*, 9(1), 579-613. Retrieved from http://www.mpil.de/files/pdf2/mpunyb_bogdandyua_9_579_613.pdf ნანახია: 3 ივლისი (2017)
14. Connor, W. (1990). When is a nation? *Ethnic and Racial Studies*, 13(1), 92-103. Retrieved from <http://dx.doi.org/sci-hub.cc/10.1080/01419870.1990.9993663> ნანახია: 3 ივლისი (2017)

15. Leonardis, F. D. (2016). Memory and Nation-Building in Georgia. In R. Isaacs, & A. Polese, *Nation building and identity in the Post-Soviet space: new tools and approaches* (pp.24-46). Abingdon: Routledge.
16. Levinger, M., & Lytle, P. F. (2001). Myth and mobilisation: the triadic structure of nationalist rhetoric. *Nations and Nationalisms* , 7(2), 175-194.
17. Nikklas, N., & Popjavenski, J. (2009). *State Building Dilemmas: The Process of National Integration*. Singapore: Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program.
Retrieved from https://silkroadstudies.org/resources/pdf/SilkRoadPapers/2009_02_SRP_MetreveliNilssonPopjanevskiYakobashvili_Integration-Georgia.pdf ნანახია: 3 ივლისი (2017)
18. Nodia, G. (2005). The dynamics and sustainability of the Rose Revolution. In M. Emerson, *Democratisation in the European neighbourhood* (pp. 38-52). Brussels: Centre for European Policy Studies. Retrieved from <https://www.ceps.eu/system/files/book/1267.pdf> ნანახია: 3 ივლისი (2017)
19. Nodia, G. (2016). Summarizing Quarter of Century of Development. In G. Nodia, *25 Years of Independent Georgia. Achievements and Unfinished Projects*. Tbilisi: Ilia State U Press, Konrad-Adenauer-Stiftung Regional Program South Caucasus. Retrieved from <http://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2016/07/Georgia-2-5.pdf> ნანახია: 3 ივლისი (2017)
20. Nodia, G. (2016). The Story of Georgia's state-building: dramatic but closer to completion. In G. Nodia, *25 Years of Independent Georgia. Achievements and Unfinished Projects*. Tbilisi: Ilia State U Press, Konrad-Adenauer-Stiftung Regional Program South Caucasus. Retrieved from <http://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2016/07/Georgia-2-5.pdf> ნანახია: 3 ივლისი (2017)
21. Ozkirimli, U. (2010). *Theories of Nationalism: A Critical Introduction*. Palgrave Macmillan

22. Sabanadze, N. (2010). Globalization and Georgian Nationalism. In N. Sabanadze, *Globalization and Nationalism: The Cases of Georgia and the Basque Country*. Budapest - New York: Central European UP. Retrieved from <http://books.openedition.org/ceup/573>
ნანახია: 3 ივლისი (2017)
23. Smith, A. D. (1989). The origins of nations. *Ethnic and Racial Studies*, 12(3), 340-367.
24. Utz, R. (2005). Nations, Nation-Building, and Cultural Intervention: A Social Science Perspective. *Max Planck Yearbook of United Nations Law*, 9(1), 615-647. Retrieved from http://www.mpil.de/files/pdf2/mpunyb_utz_9_615_647.pdf ნანახია: 3 ივლისი (2017)

ელექტრონული მასალები

25. ბეჭიშვილი, ნ. უმცირესობები ქართულ მედიაში. *სოლიდარობა*, 6(39). 59 - 67.
Retrieved from http://tolerantoba.ge/tolerantoba_jurnali/39.pdf ნანახია: 3 ივლისი (2017)
26. ზოგიშვილი, დ., გავაშელიშვილი, ე., გუგუშვილი, ნ., ოსევაშვილი, ი. (2016). *ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, გამომცემლობა „ნეკერი“. Retrieved from: <http://css.ge/> ნანახია: 3 ივლისი (2017)
27. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები საქართველოში – მიღწევები და გამოწვევები. (2012). Retrieved from <http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619861&kat=316> ნანახია: 3 ივლისი (2017)
28. ეპისკოპოსი მეუფე ვაზგენი. (2011, იანვარი 6). *საქართველოს პრეზიდენტი სომხურ მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას ესტუმრა*. Retrieved from www.saakashviliarchive.info/ge: <http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News?6020> ნანახია: 3 ივლისი (2017)

29. ევროსაბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო-კონვენციის მრჩეველთა კომიტეტი. (2007). *საქართველოს პირველი ანგარიში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ*. თბილისი: <http://diversity.ge>. Retrieved from <http://diversity.ge/files/files/State%20Report%20of%20Georgia%20FCPNM.pdf> ნანახია: 3 ივლისი (2017)
30. ვაშაძე, გ. (2011, მაისი 9). *9 მაისი ეს ბოლშევიკების გამარჯვების დღეა*. Retrieved from www.civil.ge: <http://www.civil.ge/geo/article.php?id=23969> ნანახია: 3 ივლისი (2017)
31. მუხუზლა, ს., & როშე, ე. (2009). *განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობები საქართველოში*. თბილისი: European Centre For Minority Issues. Retrieved from http://www.ecmicaucasus.org/upload/publications/working_paper_46_geo.pdf ნანახია: 3 ივლისი (2017)
32. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. (2013). *შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და 2012 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში*. თბილისი: რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. Retrieved from <http://smr.gov.ge/Uploads/60966e.pdf> ნანახია: 3 ივლისი (2017)
33. სააკაშვილი, მ. (n.d.). *მისალმება*. Retrieved from <http://www.diversity.ge/geo/welcome.php> ნანახია: 3 ივლისი (2017)
34. სააკაშვილი, მ. (2004ა, იანვარი 4). *მიხეილ სააკაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში*. Retrieved from <http://www.saakashviliarchive.info>: <http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2779&i=1> ნანახია: 3 ივლისი (2017)
35. სააკაშვილი, მ. (2004ბ, მაისი 26). *საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე*. Retrieved from <http://www.saakashviliarchive.info>:

<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2777&i=1> ნანახია: 3 ივლისი (2017)

36. სააკაშვილი, მ. (2005ა, ივლისი 26). საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში სამართალდამცავი სრუქტურების წარმომადგენლებს შეხვდა. Retrieved from www.saakashviliarchive.info: <http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements/?p=2741&i=1> ნანახია: 3 ივლისი (2017)
37. სააკაშვილი, მ. (2005ბ, ნოემბერი 21). საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა სამების საკათედრო ტაძარში. Retrieved from www.saakashviliarchive.info/ge: <http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News?p=2710&i=1> ნანახია: 3 ივლისი (2017)
38. სააკაშვილი, მ. (2007, მარტი 15). საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ყოველწლიური შემაჯამებელი მოხსენება პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე. Retrieved from [saakashviliarchive.info/ge](http://www.saakashviliarchive.info/ge): <http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/Documents?4952> ნანახია: 3 ივლისი (2017)
39. სააკაშვილი, მ. (2008, დეკემბერი 22). სააკაშვილი ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების ინტეგრაციაზე საუბრობს. Retrieved from www.civil.ge: <http://civil.ge/geo/article.php?id=20254> ნანახია: 3 ივლისი (2017)
40. სააკაშვილი, მ. (2010ა, მარტი 21). საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ნოვრუზ-ბაირამი ეროვნულ დღესასწაულად გამოაცხადა. Retrieved from [saakashviliarchive.info/ge](http://www.saakashviliarchive.info/ge): <http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News?4873> ნანახია: 3 ივლისი (2017)

41. სააკაშვილი, მ. (2010ბ, თებერვალი 26). *საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში წლის საანგარიშო მოხსენებით წარსდგა*. Retrieved from saakashviliarchive.info/ge:
<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/Documents?4954> ნანახია: 3 ივლისი (2017)
42. სააკაშვილი, მ. (2011ა, მაისი 26). *საქართველოს პრეზიდენტი ბათუმში, იუსტიციის სახლის გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდა*. Retrieved from www.saakashviliarchive.info:
<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=6500&i=1> ნანახია: 3 ივლისი (2017)
43. სააკაშვილი, მ. (2011ბ, იანვარი 6). *მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ სომხებს შობის დღესასწაული მიულოცა*. Retrieved from saakashviliarchive.info/ge: <http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News?6021>
ნანახია: 3 ივლისი (2017)
44. სააკაშვილი, მ. (2011გ, თებერვალი 11). *საქართველოს პრეზიდენტი ტრადიციული წლიური ანგარიშით საკანონმდებლო ორგანოს წინაშე წარსდგა*. Retrieved from saakashviliarchive.info/ge:
<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/Documents?6142> ნანახია: 3 ივლისი (2017)
45. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი. (2008). *რეკომენდაციები ენობრივ უმცირესობათა დაცვის მიმართულებით ენობრივი პოლიტიკის შემუშავებისთვის*. თბილისი: სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი. Retrieved from <http://cciiir.ge/upload/editor/file/ENOBRIVI-REKOM-A5-dasabechdi.pdf> ნანახია: 3 ივლისი (2017)

46. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. (2014). *შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების დოკუმენტი*. თბილისი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. Retrieved from: http://smr.gov.ge/Uploads/_cd492646.pdf ნანახია: 3 ივლისი (2017)
47. საქართველოს გაეროს ასოციაცია, (საგა). (2008). *ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის შეფასება*. თბილისი: გაეროს განვითარების პროგრამა. Retrieved from <http://www.diversity.ge/files/files/SURVEY-REPORT-GEO.pdf> ნანახია: 3 ივლისი (2017)
48. საქართველოს მთავრობის განკარგულება №348 შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. (2009, მაისი 8). Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2091642> ნანახია: 3 ივლისი (2017)
49. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში. (2009). *ტოლერანტობა საქართველოში, მიღწევები და გამოწვევები*. თბილისი: www.tolerantoba.ge. Retrieved from http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619822&sub_id=1321954386 ნანახია: 3 ივლისი (2017)
50. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში. (2010). *საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ*. თბილისი: www.ombudsman.ge. Retrieved from <http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/84.pdf> ნანახია: 3 ივლისი (2017)
51. სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო. (2010). *ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის შეფასება*. თბილისი: www.tolerantoba.ge. Retrieved from

http://tolerantoba.ge/failebi/CNM_NCAP_GEO_2009_18136.pdf

ნანახია: 3 ივლისი (2017)

52. სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო. (2012).

შემყენარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები: 2010 - 2011 წლები.

თბილისი: www.tolerantoba.ge. Retrieved from

http://tolerantoba.ge/failebi/CNM_NCAP_GEO_2010_11_83028.pdf

ნანახია: 3 ივლისი (2017)

53. სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო. (2012).

შემყენარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები 2012 - 2013. თბილისი:

www.tolerantoba.ge. Retrieved from [http://www.ecmcaucasus.org/upload/cnm/UNDP-](http://www.ecmcaucasus.org/upload/cnm/UNDP-Publication-GEO-FINAL.pdf)

[Publication-GEO-FINAL.pdf](http://www.ecmcaucasus.org/upload/cnm/UNDP-Publication-GEO-FINAL.pdf) *ნანახია: 3 ივლისი (2017)*

54. სახალხო დამცველის ანგარიში. (2009). *საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.* თბილისი: www.tolerantoba.ge.

Retrieved from http://www.tolerantoba.ge/failebi/2009_75604.pdf *ნანახია: 3 ივლისი*

(2017)

55. სორდია, გ. (2009). *ეროვნულ უმცირესობათა მართვის ინსტიტუტები*

საქართველოში: მიმოხილვა. თბილისი: European Centre For Minority Issues. Retrieved from http://www.ecmcaucasus.org/upload/publications/working_paper_43_geo.pdf

ნანახია: 3 ივლისი (2017)

56. უითლი, ჯ. (2009). ჯონათან. *საქართველოში სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის*

რეგიონებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია: მიხეილ

საკაკაშვილის პრეზიდენტობის ხუთი წელიწადი. თბილისი: European Centre For

Minority Issues. Retrieved from

- http://www.ecmcaucasus.org/upload/publications/working_paper_44_geo.pdf ნანახია: 3 ივლისი (2017)
57. შათირიშვილი, ზ. (2010, ივნისი 27). *ნაციონალური იდენტობა და ნაციონალური ნარატივები*. Retrieved from სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის: http://social-democrats-georgia.blogspot.com/2010/06/blog-post_27.html ნანახია: 3 ივლისი (2017)
58. BTKK – Policy Research Group. (2008). *POLICY ANALYSIS OF CIVIL INTEGRATION*. თბილისი: BTKK – Policy Research Group. Retrieved from <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/18106/1/PolicyAnalysisEthnic%20Minorities.pdf> ნანახია: 3 ივლისი (2017)
59. Institute of the BCG Research, Applied Research Company, Institute of Social Researches (ISR), Freedom House Europe. (2008). *National Integration and Tolerance in Georgia*. United Nations Association of Georgia. Retrieved from [http://www.una.ge/uploads/publications/49/NITG Assesment survey report Report.pdf](http://www.una.ge/uploads/publications/49/NITG_Assesment_survey_report_Report.pdf) ნანახია: 3 ივლისი (2017)
60. International Crisis Group. (2006). *GEORGIA'S ARMENIAN AND AZERI MINORITIES*. International Crisis Group. Retrieved from [http://www.ararat-center.org/upload/files/Georgias Armenian and Azeri Minorities.pdf](http://www.ararat-center.org/upload/files/Georgias_Armenian_and_Azeri_Minorities.pdf) ნანახია: 3 ივლისი (2017)
61. *Saakashvili Stresses Importance of Knowledge of Official Language*. (2006, მარტი 21). Retrieved from civil.ge: <http://www.civil.ge/eng/article.php?id=12136> ნანახია: 3 ივლისი (2017)

დაწერა 1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tatia Todadze

The Dynamic of National Project of 2003 - 2012 Georgia and its Influence
on the Development of Civic Nationalism

Faculty of Social and Political Sciences
Nationalism and Ethnicity Studies

For MA in Nationalism and Ethnicity Studies

Supervisor: David Matsaberidze, PhD Political Science

Tbilisi, 2017

დანართი 2

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის ძირითადი მიმართულებები

1. კანონის უზენაესობა

მოიცავს შემდეგი ამოცანების განხორციელებას:

- ა) საქართველოს კანონმდებლობის შემდგომი ჰარმონიზაცია საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან;
- ბ) ეროვნული უმცირესობების მიერ მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.
- გ) დისკრიმინაციული მოპყრობისგან ეროვნული უმცირესობების ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფა;
- დ) საჯარო მოსამსახურეთა ცნობიერების ამაღლება ეროვნული უმცირესობების უფლებებსა და ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან მიმართებაში.

2. განათლება და სახელმწიფო ენა

- ა) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ბ) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის საშუალო განათლების მიღების ხელშეწყობა;
- გ) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- დ) სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა;
- ე) განათლების სფეროში საჯარო დისკუსიისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა.

3. მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

- ა) ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ეროვნული მაუწყებლობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ბ) ეროვნული უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- გ) სამაუწყებლო პროგრამებში ეროვნული უმცირესობების გაშუქებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფა;

- დ) ეროვნული უმცირესობების ენებზე ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის ხელშეწყობა;
- ე) მედიაში ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის დამკვიდრების ხელშეწყობა.

4. პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა

- ა) ეროვნული უმცირესობების თანასწორი საარჩევნო უფლების უზრუნველყოფა;
- ბ) გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის გაუმჯობესება;
- გ) ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის პოპულარიზაცია.

5. სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია

- ა) ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება;
- ბ) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა პროფესიული გადამზადება და მათი დასაქმების ხელშეწყობა;
- გ) ეროვნული უმცირესობების სოციალური და რეგიონალური მობილობის ხელშეწყობა.

6. კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება

- ა) სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- ბ) ეროვნული უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა;
- გ) ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- დ) ტოლერანტობის სულისკვეთების მხარდაჭერა, კულტურათაშორისი დიალოგისა და კავშირების ხელშეწყობა;
- ე) საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ვ) ეროვნული უმცირესობების კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის შესახებ საზოგადოების ცოდნის გაღრმავება და ქვეყნის კულტურულ ღირებულებებად მათი წარმოჩენა (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე)

სამოქმედო გეგმა

განათლება და სახელმწიფო ენა				
ამოცანა №1	პროგრამის დასახელება/ლონისძიება	განმახორციელებელი ორგანიზაცია/პარტნიორი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ-თათვის სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომო-ბის უზრუნველყოფა	1) ეროვნული უმცირესობების საგანმანათლებლო საჭიროებებზე ორიენტირებული სკოლამდელი სასწავლო პროგრამების მომზადება და პილოტირება	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2009-2014	
	2) იმ რეგიონებში, სადაც დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობები, სასკოლო მზაობის დონის ამაღლების მიზნით სპეციალური პროგრამის შემუშავება. მშობელთა ინფორმირებულობის გაზრდა სკოლამდელი განათლებისა და კონკრეტული პროგრამების შესახებ	ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვის საპარლამენტო ალიანსი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ადგილობრივი თვითმმართველობა; ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი	2009-2014	
ამოცანა #2				
ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ-თათვის საშუალო განათლების მიღების ხელშეწყობა	2.1	ეროვნული სასწავლო გეგმის თარგმნა და დანერგვის ტრენინგების ჩატარება	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი	2009
	2.2	სახელმძღვანელოების თარგმნა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე სკოლებში სწავლების ენის შესაბამისად	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი	2009-2014
	2.3	მიზნობრივი დახმარება სარეფორმო ღონისძიებების განხორციელებაში ეროვნული უმცირესობების სკოლებისათვის, შესაბამისი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2009-2014

		პროგრამების შემუშავება და დანერგვა			
	2.4	მულტილინგვური სწავლების პოლიტიკის დახვეწა, პილოტირება და დანერგვა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი	2009-2014	
	2.5	ჟურნალის „მასწავლებელი“ გამოცემა სომხურსა და აზერბაიჯანულ ენებზე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი	2009-2014	
	2.6	„მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელოს“ (სამ ნაწილად) და სხვა დამხმარე რესურსების თარგმნა სომხურსა და აზერბაიჯანულ ენებზე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი	2009-2014	
	2.7	მიზნობრივი პროფესიული ტრენინგები მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციისათვის	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი	2009-2014	
ამოცანა #3					
ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ-თათვის უმაღლეს ი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება	3.1	უმაღლესი განათლების დაწესებულებებში მოსამზადებელი-საინტეგრაციო კურსის კონცეფციის შემუშავება, პილოტირება და დანერგვა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; გამოცდების ეროვნული ცენტრი; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები	2009-2014	საკანონმდებლო ცვლილებები და პირველი ნაკადი 2009 წ.
	3.2	„სოციალური გრანტების პროგრამა“ და სხვა მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და დანერგვა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2009-2014	
	3.3	ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა საზღვარგარეთ გაგზავნა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე	განვითარებისა და რეფორმების ფონდი	2009-2014	
ამოცანა #4					

სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა	4.1	არაქართულენოვან სკოლებში ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების პროგრამის დანერგვა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ეუთო	2009-2014	
	4.2	ქართული ენის სახელმძღვანელოების და სასწავლო რესურსების შექმნა და სრულყოფა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2009-2014	
	4.3	არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა ტრენინგი სამცხე-ჯავახეთიდან და ქვემო ქართლიდან (სპეციალური პროფესიული ვაუჩერი მასწავლებლებისათვის „ქართულის, როგორც საკომუნიკაციო ენის“ და „ქართულის, როგორც მეორე ენის“ შესწავლისათვის)	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი	2009-2014	უკვე შესულია ვაუჩერულ დაფინანსებაში
	4.4	კლასგარეშე საგანმანათლებლო და სამოქალაქო ინტეგრაციაზე ორიენტირებული პროგრამებისა და პროექტების შემუშავება და განხორციელება	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2009-2014	
	4.5	მოზარდებისა და ზრდასრულთათვის სახელმწიფო ენის შესწავლის ხელშეწყობის პროგრამები	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2009-2014	არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობით
	4.6	ქართული ენის მასწავლებლების რეგიონებში მოზიდვისათვის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2009	
	4.7	ქართული ენის შესწავლის კომპიუტერული და საინტერნეტო პროგრამები, პორტალი, საგანმანათლებლო თამაშები	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2009	
მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა					
ამოცანა №1	პროგრამის დასახელება/ღონისძიება		განმახორციელებელი ორგანიზაცია/პარტნიორი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ეროვნული მაუწყებლობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	საზოგადოებრივი მაუწყებლის გავრცელების სისტემის რეაბილიტაცია		საზოგადოებრივი მაუწყებელი	2009-2014	

ამოცანა №2

ეროვნული უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	1) სატელევიზიო საინფორმაციო პროგრამები		საზოგადოებრივი მაუწყებელი	2009-2014	
	2.1.1	„მომბე“ აფხაზურ ენაზე (პერიოდულობა: კვირაში ერთხელ)			
	2.1.2	„მომბე“ ოსურ ენაზე (პერიოდულობა: კვირაში ერთხელ)			
	2.1.3	„მომბე“ სომხურ ენაზე (პერიოდულობა: კვირაში ერთხელ)			
	2.1.4	„მომბე“ აზერბაიჯანულ ენაზე (პერიოდულობა: კვირაში ერთხელ)			
	2.1.5	„მომბე“ რუსულ ენაზე (პერიოდულობა: კვირაში ერთხელ)			
2) რადიოს საინფორმაციო პროგრამები		საზოგადოებრივი რადიო FM 102.4	2009-2014		
2.2.1	საინფორმაციო გამოშვება აფხაზურ ენაზე (პერიოდულობა: ყოველდღე)				
2.2.2	საინფორმაციო გამოშვება ოსურ ენაზე (პერიოდულობა: ყოველდღე)				
2.2.3	საინფორმაციო გამოშვება სომხურ ენაზე (პერიოდულობა: ყოველდღე)				
2.2.4	საინფორმაციო გამოშვება აზერბაიჯანულ ენაზე (პერიოდულობა: ყოველდღე)				
2.2.5	საინფორმაციო გამოშვება რუსულ ენაზე (პერიოდულობა: ყოველდღე)				
2.2.6	საინფორმაციო გამოშვება ქურთულ ენაზე (პერიოდულობა: ყოველდღე)				

ამოცანა № 3

სამაუწყებლო პროგრამებში ეროვნული უმცირესობების გამუქებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფა	თოქ-შოუ „იტალიური ეზო“	საზოგადოებრივი მაუწყებელი; გაეროს ასოციაცია; აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) – საქართველოს ეროვნული ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში	2009-2014	
ამოცანა №4				
ეროვნული უმცირესობების ენებზე ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის ხელშეწყობა	1) „ლიტერატურის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში ბეჭდვითი პერიოდული გამოცემები:	საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო	2009-2014	
	4.1.1 სომხურენოვანი გაზეთი „ვრასტანი“			
	4.1.2 აზერბაიჯანულენოვანი გაზეთი „გურჯისტანი“			
	4.1.3 რუსულენოვანი გაზეთი „სვობოდნაია გრუზია“			
ამოცანა №5				
მედიამი ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის დამკვიდრების ხელშეწყობა	1) დოკუმენტური ფილმების ციკლი „მრავალეროვანი საქართველო“	საზოგადოებრივი მაუწყებელი; გაეროს ასოციაცია; აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) – საქართველოს ეროვნული ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში	2009-2014	
	2) საავტორო გადაცემა „ჩვენი საქართველო“	საზოგადოებრივი რადიო FM 102.4	2009-2014	
პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა				
ამოცანა №1	პროგრამის დასახელება/ღონისძიება	განმახორციელებელი ორგანიზაცია/პარტნიორი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
ეროვნული უმცირესობების თანასწორი საარჩევნო უფლების უზრუნველყოფა	საარჩევნო ბიულეტენების თარგმნა უმცირესობების ენებზე	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია; საერთაშორისო ორგანიზაციები		
ამოცანა №2				

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის გაუმჯობესება	1) თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება სახალხო დამცველთან არსებულ ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოსა და შემდეგ სამინისტროებს შორის:	აღმასრულებელი ხელისუფლება	2009	
	ა) რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;			
	ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;			
	გ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;			
	დ) საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;			
	ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;			
	ვ) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო;			
	ზ) საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო;			
	თ) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.			
	2) თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება რეგიონალურ ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოსა და სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების აპარატებს შორის შემდეგ რეგიონებში:	საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; პრეზიდენტთან არსებული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭო	2009	
	ა) სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის აპარატი ქვემო ქართლში;			
	ბ) სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის აპარატი სამცხე-ჯავახეთში;			
	გ) სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის აპარატი კახეთში;			
	დ) სახელმწიფო რწმუნებულის –			

	გუბერნატორის აპარატი იმერეთში;			
	ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან			
ამოცანა №2				
ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო-კონვენციის პოპულარიზაცია	ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის დაბეჭდვა და გავრცელება	რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; პრეზიდენტთან არსებული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭო	2009-2014	
სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია				
ამოცანა №1	პროგრამის დასახელება/ღონისძიება	განმახორციელებელი ორგანიზაცია/პარტნიორი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება	1) სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტი	ფონდი – „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს ”	2006-2010	
	1.1.1 სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში საგზაო სატრანსპორტო ქსელის აღდგენა			
	2) ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი	ფონდი – „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს ”	2006-2010	
	1.2.1 ჩრდილოეთ-სამხრეთ მაგისტრალური მილსადენის დაზიანებული უბნების აღდგენა			
	3) რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი	ფონდი – „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს ”	2006-2010	
	1.3.1 მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესება			
ამოცანა №2				
ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა პროფესიული	1) „პროფესიული სასწავლებლების რეაბილიტაციის ” საპრეზიდენტო პროგრამა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2009-2014	

გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა				
2.1.1	ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში პროფესიული სასწავლებლების რეაბილიტაცია			
2)	ზურაბ ჟვანიას სახელობის ადმინისტრირების და საჯარო მოხელეთა გადამზადების სკოლა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2009-2012	
2.2.1	სახელმწიფო სექტორში უმცირესობის წარმომადგენელთა მოზიდვა			
3)	იმ რეგიონების მოთხოვნებსა და სპეციფიკაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელება, სადაც ტრადიციულად ან დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობები	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2009-2014	
4)	წვრილი მეურნეობების გარდაქმნა მომგებიან აგრობიზნესად. აგრობიზნესის განვითარების პროექტები:	ფონდი – „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“	2006-2011	
2.4.1	პირველადი წარმოება			
2.4.2	ფერმერთა მომსახურების ცენტრის შექმნა			
2.4.3	მცირე გადამამუშავება			
2.4.4	საწარმოო ჯაჭვის შექმნა			
5)	საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის პროექტი: ინვესტიციების განხორციელება მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში	ფონდი – „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“	2006-2011	
კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება				
ამოცანა №1	პროგრამის დასახელება/ღონისძიება	განმახორციელებელი ორგანიზაცია/პარტნიორი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
		საქართველოს კულტურის, ძეგლთა	2009-2014	

ეროვნული უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება	1) საქართველოს ეროვნული უმცირესობების კულტურის მხარდაჭერის პროგრამა:	დაცვის და სპორტის სამინისტრო; თბილისის მერია		
	1.1.1	სსიპ – დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ- ეთნოგრაფიული მუზეუმის საქმიანობის ხელშეწყობა		
	1.1.2	საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის „კავკასიური სახლი“ საქმიანობის ხელშეწყობა		
	1.1.3	სსიპ – მირზა ფათალი- ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის საქმიანობის ხელშეწყობა		
	1.1.4	საქართველოს რუსული კულტურის ცენტრის საქმიანობის ხელშეწყობა		
	1.1.5	სსიპ – თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მხარდაჭერა		
	1.1.6	სსიპ – თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრის მხარდაჭერა		
		2) რეგიონალური ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებებისა და სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა		
	1.2.1	ყვარელში – ბაღლოჯიანის სამუსიკო სკოლის მხარდაჭერა	ყვარლის გამგეობა	2009-2014
	1.2.2	ახალქალაქში – სამუსიკო და სამხატვრო სკოლის, 14 საკლუბო დაწესებულების (აქედან 10 სომხური), 4 ბიბლიოთეკის (აქედან 2 სომხური) მხარდაჭერა	ახალქალაქის გამგეობა	2009-2014

	1.2.3	ნინოწმინდაში – სამუსიკო სკოლის, 21 ბიბლიოთეკის (აქედან 18 სომხური), 20 საკლუბო დაწესებულების (აქედან 18 სომხური) მხარდაჭერა	ნინოწმინდის გამგეობა	2009-2014	
	1.2.4	მარნეულში – სამუსიკო სკოლის, 18 ბიბლიოთეკის (აქედან 11 აზერბაიჯანული, 4 სომხური), 4 სასოფლო კლუბის მხარდაჭერა	მარნეულის გამგეობა	2009-2014	
	1.2.5	წალკაში – სამუსიკო სკოლის, ბიბლიოთეკის (სომხური მოსახლეობისთვის), კულტურის სახლის მხარდაჭერა	წალკის გამგეობა	2009-2014	
	1.2.6	გორში – ერედვის სამუსიკო სკოლის, 18 ბიბლიოთეკის (აქედან 5 ოსური), მხარდაჭერა	გორის გამგეობა	2009-2014	
	1.2.7	გარდაბანში – 19 ბიბლიოთეკის (აქედან 1 აზერბაიჯანული, 14 შერეული), 1 კლუბის მხარდაჭერა	გარდაბნის გამგეობა	2009-2014	
	1.2.8	ბოლნისში – 9 ბიბლიოთეკის (აქედან 2 აზერბაიჯანული) მხარდაჭერა	ბოლნისის გამგეობა	2009-2014	
	1.2.9	დმანისში – 4 ბიბლიოთეკის (აქედან 1 აზერბაიჯანული) მხარდაჭერა	დმანისის გამგეობა	2009-2014	
ამოცანა №2					
ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის დაცვა	1) ეროვნულ უმცირესობათა მატერიალური და არამატერიალური კულტურული ფასეულობების დაცვა:				
	2.1.1	ეროვნული უმცირესობების კულტურული ძეგლების აღრიცხვა და ინვენტარიზაცია	საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო	2009-2014	
	2.1.2	ძეგლების რესტავრაცია	საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო	2009-2014	
	2.1.3	თბილისის პანთეონებისა და ხელოვნების ძეგლების მოვლა-მატრონობის ხელშეწყობის პროგრამა: თბილისში	თბილისის მერია	2009-2014	

	არსებული პანთეონების, მათ შორის სომეხ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის მოვლა-პატრონობა და დაცვა			
ამოცანა №3				
ტოლერანტობის სულისკვეთების მხარდაჭერა, კულტურათაშორისი დიალოგისა და კავშირების ხელშეწყობა	საშუალო სკოლებში ტოლერანტობის, როგორც საგნის, დანერგვა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“	2009-2014	
ამოცანა №4				
ეროვნული უმცირესობების კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის შესახებ საზოგადოების ცოდნის გაღრმავება და ქვეყნის კულტურულ ღირებულებებზე მათი წარმოჩენა	1) თოქ-შოუ „იტალიური ეზო“	საზოგადოებრივი მაუწყებელი; გაეროს ასოციაცია; აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) – საქართველოს ეროვნული ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში	2009-2014	
	2) დოკუმენტური ფილმების ციკლი „მრავალეროვანი საქართველო“	საზოგადოებრივი მაუწყებელი; გაეროს ასოციაცია; აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) – საქართველოს ეროვნული ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში	2009-2014	
	3) საავტორო გადაცემა „ჩვენი საქართველო“	საზოგადოებრივი რადიო FM 102.4	2009-2014	